№ 2678
სამშაბათი,
23 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2678
სამშაბათი,
23 ნოემბერი

ფასი ღირს: წელიწადი—6 მ., თვეში, უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი“ მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
ერთის წლით 6 მანეთი.	ერთის წლით 9 მანეთი.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისთანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე“ მეთერთმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან.	1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1 მ. 20 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“

უფასოდ გაიგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის,“ ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

„დონ-კიხოტი“

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

„მასალები საქართველოს ისტორიისათვის“

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სახლში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

ფრიდონ გიორგის ძე ბასილაშვილი, ეკატერინე გიორგის ასული ბაქრაძისა და გიორგი ლუკას ძე ბაქრაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას (21 ნოემბერს) პირველნი—ძვირფასის დედის, უკანასკნელი—სიდედრის

ელისაბედ დავითის ასულის ბასილაშვილისას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, ბირონის ქუჩა, № 21 საკ. სახლი. გამოსვენება ხუთშაბათს, 25 ნოემბერს ქვაშვეთის ეკლესიაში და დაკრძალვა იმავე დღეს კუკიის სასაფლაოზე. (3—386—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. აბონემენტის გარეშე

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს ბენეფისი ვ. ა. აბაშიძისა წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა

I
მეუღლენი
კომ. 3 მოქ. თხზ. გ. სუნდუკიანცისა. სომხურიდან ნათარგმნი ი. ბაქრაძის-მიერ.

II
ბენეფისის წინ
სცენები 1 მოქმ. პ. უმიკაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ლეჟავა, მესხი, ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გუნია, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩარკვიანი და სხვ.

ადგილების ფასი ოპერისაა. დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები იყიდება სახაზინო თეატრის კასაში, ლაკასიონში. სეზონის ბილეთები და კონტრამარკები გაუქმებულია. ადმინისტრაცია ამხანაგობისა. მორიგე რეჟისორი ვ. აბაშიძე.

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
სამშაბათს, 23 ნოემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ტრუბადური“, ოპერა 4 მოქმ. ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტომკევიჩი, შიხუცკაია-მინჩენკო, ზასლავსკაია; ბ-ნნი: რიბაკოვი, კამაროვი, პორუბინოვსკი, ჩალინსკი, მურატოვი.

კაპელმეისტერი მიკლაშევსკი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

24 ნოემბ. ქართული წარმოდგენა—ბენეფისი ვ. აბაშიძისა, წარმ. იქნება „მეუღლენი“ და „ბენეფისის წინ.“

გამგე ი. ა. კელლერი.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

ოშევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნებს. ტელეფონი № 679. (0—187)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ა. ი. ბაღდარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. ტ. გოლინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველ-დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. ძიმონტი.—ქირურგია 11½—12½ კვირათ, სამშაბ., და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ქალი ე. ჭ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ა. ბიბილეიშვილი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა (შემოწმება ძიძებისა) ორშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.

ვ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

მრ. მ. ხოზოლდიშვილი.—ქირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ:

მ. მ. ხოზოლდიშვილი.—ქირურგია და ორთოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ-დღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოში [illegible] მორიგებით. კრავატები დღეში დღის [illegible] მან. სამზადი და ნომერი 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზის (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით დაავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—14)

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—13)

კბილის ექიმი
ვლ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—33)

ექიმი
ი. ე. ზამბურბერი
რიბოპიერის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—14)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

20 ნოემბერი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა 19 ნოემბერს: „18 ნოემბრის ღამეს ჩვენის ჯარის შუაგულში ორი როტა, შტაბს-კაპიტანის მანკოვსკის უფროსობით, მტრის დასაზვერად წავიდა. ჩვენმა რაზმმა განდევნა იაპონელთა სადარაჯო რაზმები და დაიჭირა იმათი თხრილები. მერე რაზმს სროლა დაუწყეს იაპონელებმა. მალე იმათ ახალი ჯარიც მიეშველა, ამიტომ რაზმმა თავის პოზიციებზე დაიხია. სროლის დროს მოკლულ იქმნა მამაცი შტაბს-კაპიტანი მანკოვსკი, რომელმაც ამას წინად მიიღო ორდენი წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხისა. ამას გარდა რაზმში დაიჭრა ხუთი სალდათი. 19 ნოემბერს არ მიგვიღია მოხსენებები ბრძოლის შესახებ. ზემო აღნიშნულს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას.“

გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს 19 ნოემბერს: „17 ნოემბრის ღამეს ჩვენი რაზმი პორუჩიკის ვადეცკის უფროსობით დასაზვერად წავიდა სოფელ ჰუგოუსკენ, სადაც იაპონელთა სიმაგრე იყო. გზაზე შეხვდა 30 კაცისაგან შემდგარი სადარაჯო რაზმი. ჩვენებმა ამოხოცეს ესენი. მერე ჩვენი რაზმი მოჰყვა მჩხვლეტავ მავთულების წრეში. გასცდნენ თუ არა ამას, რაზმის ნაწილი წააწყდა ფუგასებს, რომელიც აფეთქდა. ამის შემდეგ 20 სალდათი შევარდა იაპონელთა თხრილებში და ამოჟლიტა 20-მდე იქ მყოფი იაპონელი. მალე იაპონელებს მოეშველა ახალი რაზმი, რომელმაც ჩვენებზე იერიში მოიტანა. იაპონელები ხელით ისროდნენ ყუმბარებს. რაზმმა უკან დაიხია და თან წამოიღო ხუთ მოკლულ სალდათის გვამი და წამოიყვანა 14 დაჭრილი. სალდათებმა მოიტანეს იაპონელთა თოფები და სხვა ნივთები.

ხარბინი, 20 (საკუთარ. კორესპ.). მოვიდა მანჯურიის მეორე არმიის უფროსი გენერალი გრიპენბერგი.

მოსკოვი, 20 ნოემბერი. მოსკოვის სამხედრო საავადმყოფოსთან ადგენენ 13 ახალ სასანიტარო მატარებლის შტატებს, თითო მატარებელში 30 ვაგონი იქნება. შესდგება ამას გარდა შტატები მკურნალებისა 10 ახალ საავადმყოფოსთვის. ეს საავადმყოფოები ირკუტსკში იქნება.

კიევი. გერმანიიდან გამოიწერეს სამი ბარაკი ავადმყოფთა და დაჭრილთათვის. სხვა-და-სხვა კაცებმა სურვილი განაცხადეს, მოუარონ 80 აფიცერსა და 1000 სალდათს.

ბალტა, 20 ნოემბერი. ქმერინის ებრაელთა საზოგადოება თხოულობს, საყულაბო შემოსავლიდან გადაიდოს 500 მანეთი შორეულ აღმოსავლეთს მიმავალ ჯარის სასარგებლოდ.

ტოკიო, 20 ნოემბერი („რეიტერი“). გუშინ იქ, სადაც იაპონელთა მარცხენა ფრთაა, მოვიდნენ რუსის შუამავალნი. იაპონელებმა და რუსებმა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე ზავი ჩამოაგდეს დაჭრილთა და მოკლულთა მოსავლელად.

ტანჟერი, 20 ნოემბერი. მოვიდნენ კრეისერი „დნეპრი“ და ორი კონტრ-ნაღმიანი გემი.

ჯიბუტი, 20 ნოემბერი („ჰავასი“). აქ რეიდ გარედ დადგა რუსის ექვსი სამხედრო გემი, შვიდი ნაღმიანი გემი და ცხრა ტრანსპორტი.

კოლომბო, 20 ნოემბერი („რეიტერი“). გამოცხადებულ იქნა ბრძანება, რომლის ძალითაც აკრძალულია მთავრობის ნება დაურთველად რომელიმე გემისთვის ნახშირის მიწოდება.

21 ნოემბერი

ტოკიო, 20 ნოემბერი („რეიტერი“). პარლამენტს წარედგინა 1905 წლის ბიუჯეტი. ხარჯი ერთი მილიარდი იენია გამოანგარიშებული. ამ რიცხვიდან 180 მილიონი დანიშნულია სამხედრო საქმეებისთვის. ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ მერმის საჭირო იქნება მხოლოდ 450 მილიონ იენის სესხის აღება.

მადრიდი, 21 ნოემბერი („ჰავასი“). მთავრობა უარსაჰყოფს იმ ამბავს, ვითომ იაპონიას პროტესტი გამოეცხადებინოს ბალტიის ესკადრის ვიგოში ყოფნის გამო.

კოპენჰაგენი, 21 ნოემბერი. რუსის დამხმარე კრეისერმა გაიარა ლანგელანდის სამხრეთით და ჩრდილოეთისაკენ გაემართა.

ჰააგა, 20 ნოემბერი („რეიტ. სააგ.“). მოკლე ხანში აქ შეიკრიბება საერთაშორისო კონფერენცია მკურნალ ჰოსპიტლების მდგომარეობის განსახილველად საერთაშორისო სამართლის მხრივ.

პეტერბურგი. ოფიციალურად. გენერალ-ლეიტენანტ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 21 ნოემბერს, 1904 წელს. 21 ნოემბერს ღამით იაპონელ მოხალისეთა რაზმი ჩვენის ეკლიან მავთულის ღობის დანგრევას ეცადა სოფ. ლინშინპუსწინ, მაგრამ თოფის სროლით მოვიგერიეთ; ერთი დაჭრილი იაპონელი ჩავიგდეთ ხელში. 21 ნოემბერს შეტაკების შესახებ მოხსენება არ მიგვიღია.

პეტერბურგი, ოფიციალურად. გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა, 20 ნოემბერს 1904 წელს: „19 ნოემბერს მზვერავთა რაზმები დაპინდუშანამდე მივიდნენ, მაგრამ მტერი ვერსად ვერ აღმოაჩინეს მარცხენა ფრთაზე ხევებსა და ღელეებში მზვერავებმა 17 გვამი იპოვეს იაპონელებისა. გვამები უტანისამოსო იყო; ალბად, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გაცარცვეს. 19 ნოემბერს ღამით იაპონელების ორი როტა დაეცა სოფ. ტუტიაზის, მდ. ხუნხეზე, სოფ. ჩანტანხენინის აღმოსავლეთით; მტერი თოფის სროლით უკუაგდეს. ჩვენ 2 სალდათი მოგვიკლეს და 4 სალდათი დაგვიჭრეს, მაგრამ იაპონელები მოკლულებსა და დაჭრილებს არ გვანებებენ. ყველას, ვინც ახლოს მიდის, თოფს ესვრიან. 15 ნოემბერს ღამით ერთ ჩვენს მოდარაჯე რაზმთან ყველიკოლუცკის პოლკის სალდათები იშჩენკო და ხარზამატოვი მოვიდნენ. ეს ორი სალდათი 3 ოქტომბერს ღამით იერიშის დროს დაეჭრათ და სანგრებში დარჩენილიყვნენ. სალდათი ხარზამატოვი უფრო სუმბუქად ყოფილიყო დაჭრილი და 45 დღის განმავლობაში მოკლულ მეომრებზე სურსათს პოულობდა და თითონაც და იშჩენკოც ამით იკვებებოდნენ. როცა იშჩენკომ სიარული შეიძლო, ორივემ სანგრები მიატოვეს და ჩვენ ჯართან მოვიდნენ. 20 ნოემბერს შეტაკების შესახებ მოხსენება არ მოსულა“.

21 ნოემბერი

ჰელსინგფორსი, 20 ნოემბერი. სეიმის წესდებით, სეიმის სხდომებზე მონაწილეობის მიღება იმათ უფლებასა და მოვალეობას შეადგენს, ვინც არჩეულ იქნენ. ამიტომ უმაღლესად ნება დართულ იქნა სეიმის კრებების დროს ფინლიანდიაში იცხოვრონ იმათ, ვინც ადმინისტრატიულის წესით განდევნილ იქნენ და ვისაც დეპუტატობის უფლება აქვს. ეს ნებართვა ეხება მეხელინს, ბარონ ბორნს, ესტლანდერს, კრისტმერსონს, ლუნდენიუსს და ფილმანს.

სტამბოლი, 19 ნოემბერი. იტალიის ელჩმა გამოუცხადა პორტას, იტალიამაც გაამრავლა მაკედონიის ჟანდარმერიაში დანიშნულ თავის აფიცერთა რიცხვიო. ესეთსავე განცხადებას შეიტანს ამ ცოტა ხანში საფრანგეთის ელჩი. ინგლისი მხოლოდ ერთ აფიცერს მოუმატებს.

ვენა, 20 ნოემბერი. იმპერატორმა ფრანც-იოსებმა სამგლოვიარო დეპეშა გაუგზავნა გრაფინია კაპნისტს. კაპნისტის დასაფლავების დროს იმპერატორის წარმომადგენლად იქნება ერც-ჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი.

გროდნო. დაიწყო გროდნის გუბერნიის სასოფლო მკურნალთა კრება. კრება სამ დღეს [illegible]

მოსკოვი, 20 ნოემბერი. საღამოთი მოხდა ნაფიც ვექილთა საზოგადო კრება. თავი მოიყარა 200 ვექილმა. წარმოითქვა ბევრი სიტყვა სამოსამართლო დაწესებულებათა არსებობის 40 წლის შესრულების გამო. ორატორებმა აღნიშნეს, რომ საჭირო არის რეფორმები ეხლანდელ სასამართლოში.

ბელგრადი, 20 ნოემბერი („კორ. ბიურო“). ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებულია ბრძანება მეფისა გრუიჩის კაბინეტის სამსახურიდან გადადგომის ნება-რთვის შესახებ. დროებით საქმეების მართვა-გამგეობა ისევ გრუიჩს მიენდო.

პეტერბურგი. „პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტი მიწათ-მოქმედების მინისტრის საბჭოს წევრის სტებუტის სახელობაზე, რომელსაც მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

20 ნოემბერი

ტოკიო, 18 ნოემბერი. გენერალი ნოგი იუწყება, რომ ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთაზე რუსებთან დროებით ზავი დავდეთ დილის ათიდან ნაშუადღევის ოთხ საათამდე მოკლულთა და დაჭრილთა მოსავლელადო.—მარშალი ოიამა იუწყება, რუსის ქვეითა ჯარი ხუთშაბათს საღამოს ათ საათზე დაეცა მაჩუანძაშანს, მაგრამ უკუ-ვაგდეთ. გუშინ დილით რუსის ქვეითა და ცხენოსანი ჯარი მოუახლოვდა კუანძისა და პეიტაიძის, მაგრამ უკუ ვაგდეთო.

მინისტრ-პრეზიდენტმა გრაფმა კაცურამ და ფინანსთა მინისტრმა ბარონმა სონემ დღეს პალატაში სიტყვები წარმოსთქვეს. კაცურამ სთქვა, ზავი ჯერ კიდევ შორს არის და პალატას დიდი მოვალეობა აწევსო. შემდეგ პალატამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მადლობაა გამოთქმული ჯარისა და ფლოტის მიმართ. სამხედრო მინისტრმა გენერალმა ტერაუჩიმ და საზღვაო მინისტრმა ბარონმა იამამოტამ მადლობა გამოუცხადეს. აქ მოუთმენლად მოელიან ამბებს პორტ-არტურის შესახებ.

ირკუტსკი, 20 ნოემბერი. გაიხსნა აქ სამი სამხედრო საავადმყოფო და ამზადებენ მეოთხესაც. თითოში 210 საწოლია. მოამზადეს საავადმყოფოები კაუფმანისა და ევგენიევის ძმობებმა. ამზადებენ სადგურს გერმანიის წითელ ჯვრის საავადმყოფოსთვის.

პეტერბურგი, 20 ნოემბერი. დღეს უმაღლესმა საპრიზო სასამართლომ საადმირალოში განიხილა სააპელაციო საჩივარი გემების „თეა“-ს და „არაბია“-სი. თავმჯდომარეობდა ადმირალი აველანი; დაესწრნენ—ადმირალი კაზნაკოვი, პროფესორი მარტენსი და სხვანი. გაუქმებულ იქნა ვლადივოსტოკის საპრიზო სასამართლოს განაჩენი „თეა“-ს შესახებ. თევზი, რომელიც გემზე იყო, პატრონებს დაუბრუნდებათ. დანარჩენი საქონელი დაჭერილია, რადგან სააპელაციო საჩივარში მოხსენებული არ არის. გაუქმებულ იქნა აგრეთვე ვლადივოსტოკის სასამართლოს განაჩენი გემის „არაბია“-ს შესახებ. ფქვილი, სულ 5500 ფუთი, პატრონებსავე დაუბრუნდებათ. დანარჩენი საქონელი დარჩება, რადგან სააპელაციო საჩივარში ამ საქონელზე არაფერია ნათქვამი.

21 ნოემბერი

ჩიფუ, 21 ნოემბერი. ღამის 12 ს. 15 წ. გუშინ საღამო აქ ინგლისის კრეისერი „სირიუსი“ მოვიდა ვეიხაიეიდან; ეს არის ინგლისის კონტრ-ნაღმიანი გემიც მოვიდა. ხმა დადის, ინგლისის გემები ინგლისის ინტერესების დასაცველად მოვიდნენო.—ნდობის ღირს წყაროდან იუწყებიან, რომ იაპონელებმა 4-ჯერ მიიტანეს შტურმი „ვისოკაია გორაზე“ და მხოლოდ მეოთხე შტურმის დროს დაიჭირეს გორა; 8 ათასი კაცი დააკლდათ. 16 ნოემბერს ჩვენმა დამცველებმა იაპონელები შტურმით აღებულ პოზიციებიდან განდევნეს. „ვისოკაია გორა“ ეხლა არც რუსებს უჭირავთ, არც იაპონელებს. იაპონელებს იმ აზრით მიაქვთ შტურმი, რომ ჩვენი ესკადრა აიძულონ: ან ნავთსადგურიდან გავიდეს, ან გემები ააფეთქოს; მაშინ ტოგოს ესკადრა თავისუფლად იმოქმედებს დიდ ოკეანის მეორე ესკადრის წინააღმდეგ.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. გრაფი რევენტლოვი სწერს „რუსკი ლისტოკ“-ში: ეჭვი არაა, იაპონელები ეცდებიან ომის პირველი წელიწადი ხმელეთზეც ისეთისავე სახელოვანისა და დიდის გამარჯვებით დააგვირგვინონ, როგორითაც ზღვაზე დააგვირგვინეს: პორტ-

ქალაქ მუკდენის დაჭერას ეცდებიან. დარწმუნებული ვარ, რომ იაპონელები, რამწამს საკმაო მაშველი ჯარი მოუვათ, იერიშს მიიტანენ რუსის არმიაზეო.

„რუსკოე სლოვო"-ს სამხედრო კორესპონდენტი ბ. ლოდიჟენსკი სწერს: იაპონელებმა იერიში მოიტანეს (ციხონჩენთან) გენ. რენენკამფის რაზმზე, მაგრამ ეტყობა, იაპონელებს მხოლოდ რუსის ჯარის დაზვერა უნდოდათ, სხვა არაფერი.

იაპონური გაზ. „ასახი" სწერს: ჩვენში ჰფიქრობენ, რუსებს მარცხის მეტი არა გამოუცდიათ რა ამ ომში და ეხლაც ისევ უკან დაიხევენ, როგორც აქამდე იხევდნენო. მაგრამ ეს შემცდარი აზრია. რუსები ეხლა სწორედ იმიტომ ვეღარ დაიხევენ უკან, რომ მარცხის მეტი არა უნახავთ რა ამ ომში; რუსები ეხლა უსათუოდ ეცდებიან თავიანთ წინანდელ სახელის აღდგენას. („რ.").

იგივე იაპონური გაზეთი სწერს: „ერთს დატყვევებულ რუსის ოფიცერს იაპონელი ოფიცრები შემოეხვივნენ და ჰკითხეს, რა აზრისა ხარო იაპონელების სამხედრო ტალანტზეო. ტყვემ უპასუხათ: „იაპონელების ტაქტიკა ყოველთვის უცნაურია. რუსის ჯარი, როცა საჭიროა, წინ მიდის, როცა საჭიროა, უკან იხევს, იაპონიის ჯარი-კი სულ წინ მიდის, უკან დახევა სულ არ იცის. ამიტომ არ ითქმის, ვითომ იაპონიის ტაქტიკა რუსისას სჯობდეს. თქვენ ისე მოიწევთ წინა, როგორც გირეული ტახებიო". („რ.").

პორტ-არტური. პორტ-არტურის ჩრდილოეთ ფორტების საერთო შტურმი 13 ნოემბერს დაიწყო. უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: ტოკიოში 13 ნოემბერს ცნობა მიიღეს, იაპონელების მდგომარეობა პორტ-არტურთან გაუმჯობესდა, აღმოსავლეთ კიკვანშანის ძირში მარჯვე პოზიციები დაიჭირესო. როცა ეს დეპეშა იგზავნებოდა, იაპონელები სუნშუშანის ფორტის ტრანშეების აღებას ცდილობდნენ, ყველაფერი მზად იყო ფორტის 36 ფუთის სიმაღლე კედლის ასაღებად. საალყე ზარბაზნები ფორტს ყუმბარებით ავსებდნენო.

მეორე დეპეშა იუწყება, ტოკიოში მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ იაპონელების საქმე პორტ-არტურთან ეხლა გაცილებით უკეთესად მიდისო. იაპონელები მეტად მიუახლოვდნენ უმთავრეს ფორტებს ერლუნშანს, სუნშუშანს და კიკვანშანს. იაპონელები ძლიერ უშენენ ზარბაზნს და ამ ფორტების შტურმისათვის ემზადებიან. ჩამოთვლილ ფორტებს ბევრი მძიმე საზღვაო ზარბაზანი ესვრის ყუმბარას. საქმეში ჩახედულ იაპონელებს იმედი აქვთ, გენ. ნოგი ამ ფორტებს მალე აიღებსო. („ნ. დ.").

როგორც ვიცით, 9 ნოემბერს პორტ-არტურში არსენალს ახლო საწყობს ცეცხლი წაეკიდა. გენ. ნოგი ეხლა უფრო დაწვრილებით იუწყება ამ ამბავს: იაპონიის საზღვაო არტელერიამ ზარბაზანი დაუშინა არსენალსა და დოკებს. სროლას არტილერისტი ოფიცრები აეროსტატიდან (ჰაერში მფრინავ ბურთიდან) უწევდნენ ხელმძღვანელობას. ცეცხლი სამშაბათს შუადღისას გაჩნდა და ოთხშაბათს დილის 2 საათამდე არ ჩამქრალა. დოკებს ახლო დიდი საწყობი დაიწვა, არსენალის აღმოსავლეთ მხარეს ყველა შენობა დაინგრა. დოკი აღარ გამოდგება გემების შესაკეთებლად. საკვებ სურსათისა და ქვა-ნახშირის დიდი საწყობებიც დაიწვა. ჩინელები ამბობენ, 17 ნოემბერს იაპონელების ყუმბარისაგან რკინის გზის სადგურთან ქვა-ნახშირის საწყობს ცეცხლი წაეკიდაო. ტყვე რუსმა ილაპარაკა, მარტო მეციხოვნე ჯარის მესამედს აქვს საზამთრო ტანისამოსი, დანარჩენს ჩინური ხალათები აცვიათო. ბევრს თვალები სტკივა მუდმივ უძილობისაგანო. 14 ნოემბერს აქეთ 2 ათასამდე რუსი დაასაფლავეს, ბრძოლაში მოკლული და მუცელასაგან გარდაცვლილიო. („ნ. დ.").

ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რუსის გემებში მხოლოდ „ბაიან"-ი და კონტრ-ნაღმიანი გემებია შედარებით მთლიანად და მოქმედებაც შეუძლიანთ, ჯავშნიანი გემები-კი იმდენად დაზიანებულია ყუმბარებისაგან, რომ ზღვაში გასვლის თავი აღარა აქვთო. („ნ. დ.").

იაპონური გაზ. „ასახი" სწერს: როცა რუსის ესკადრა პორტ-არტურიდან გავა, იქ ერთი სამხედრო გემი აღარ დარჩება. სამხედრო პორტი უფლოტოდ კი ისე იქმნება, როგორც ეკკლესია უხატოდაო. („რ.").

დეპეშებიდან ვიცით, რომ იაპონელებმა პორტ-არტურთან „203 მეტრიან გორის" ფორტი აიღეს. ეს ფორტი, ამბობენ, ერლუნგშანს ახლო მდებარეობს, რკინის გზის აღმოსავლეთით და ზემოდან დასცქერის მთელ ნავთ-სადგურსაო. ასე რომ ეხლა იაპონელები მთელ ნავთ-სადგურს დაუშენენ ზარბაზნს და რუსის ესკადრას ისე გაუჭირვებენ საქმეს, რომ ან უნდა ზღვაში გავიდეს, ან გემები აფეთქოსო. ყველაფრიდან სჩანს, რომ იაპონელები უმთავრესად რუსის ესკადრის განადგურებას ცდილობენ; ამ ესკადრის თავიდან მოშორება უნდათ.

„რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. სწერს: „იაპონურ ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ 13 ნოემბერს აქეთ რუსის მეციხოვნე ჯარი უფრო დიდ განსაცდელში ჩავარდნილა. იაპონიის მთავარ-შტაბს ამის მეტად არ გამოუცხადებია, რომ პორტ-არტურის საერთო შტურმი დაიწყოო; იაპონურ ოფიციალურ ცნობებში აქამდე მხოლოდ თითოეულ ფორტის შტურმსა და მოსამზადებელ სამხედრო საქმეებზე იყო ხოლმე ლაპარაკი. რაკი იაპონიის მთავარმა შტაბმა გამოაცხადა, პორტ-არტურის საერთო შტურმი დაიწყოო, ცხადია, იაპონელებს ეხლა მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, პორტ-არტურს უსათუოდ ბოლო მოუღონ. ყველაფრიდან სჩანს, რომ პორტ-არტურთან ეხლა დიდად მნიშვნელოვანი ამბები ხდება; სხვათა შორის, ესიქიდანაც სჩანს, რომ ეხლა, როგორც დალნიდან იუწყებიან, გენ. ნოგის არმიას ნამდვილად მარშალ ოიამას შტაბის უფროსი გენ. კოდამა (გენ. კოდამას მოვალეობას მანჯურიაში, ეტყობა, იმისი თანაშემწე ცნობილი გენ. ფუკუშიმა ასრულებს) უწევს ხელმძღვანელობას. გენ. კოდამას უთქვამს, ნოემბრის დამდეგს გენ. ნოგის 70 ათასი კაცი ჰყავდაო, ე. ი. იგი $3^1/_2$-ჯერ მეტი, ვიდრე რუსებსა ჰყავთ პორტ-არტურში. გენ. ნოგის ნომინალურად 80-85 ათას კაცზე მეტი არა ჰყავს, მაშ ცხადია, რომ ყველა ის ხმა, ვითომ გენ. ნოგის ჯარის ნაწილი მანჯურიაში გაეგზავნოთ, ტყუილი უნდა იყოს."

იაპონური გაზ. „ასახი" („ამომავალი მზე") ამტკიცებს, იაპონიის ჯარი უსათუოდ აიღებს პორტ-არტურსაო. გაზეთი სწერს: „მართალია ჩინელები სრული ორი თვე იღებდნენ პეკინში უცხოეთის საელჩოებს და ვერ აიღეს, მაგრამ იაპონელები ჩინელები როდი არიან. ეჭვი არა გვაქვს, ჩვენ უსათუოდ გავიმარჯვებთ, თუმცა რუსებმა დიდი და მოულოდნელი მედგრობა გამოიჩინეს. ჩვენ მტრებს იმედი აქვთ, პორტ-არტური მიუვალი ციხეა და იმისი აღება შეუძლებელიაო. დაგვმორჩილდება, თუ არა, ეს ციხის უფროსის (გენ. სტესელის) ნებაა, მაგრამ ციხის აღება ჩვენ ხელშია და უსათუოდ ავიღებთ კიდეც. („რ. ლ.").

მანჯურიის პირველი არმია და გენ. ლინევიჩისა და გენ. კუროკის არმია. კორესპონდენტები ერთხმად იუწყებოდნენ, გენ. კუროკის არმია წინ მიდის და რუსის არმიას მარცხენა ფრთიდან შემოვლას უპირობსო. „რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. სწერს: იაპონელებმა პორტ-არტურთანაც გააძლიერეს მოქმედება და ამავე დროს მარშალ ოიამას არმიასაც მიაშველეს ჯარი მანჯურიაში. რუსულ გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან, ინკოუდან მოსული უცხოელები და ჩინელები ამბობენ, მარშალ ოიამას ოქტომბერში 60 ათასი კაცი და 40 ზარბაზანი მოუვიდა იაპონიიდანაო. მარშალ ოიამას ეხლა სულ 360—370 ათასი კაცი უნდა ჰყავდეს გენ. კუროპატკინის 340—350 ათას კაცის წინააღმდეგ. ასე რომ მარშალ ოიამას არმია ცოტათი სჭარბობს რუსისას, ამიტომ არა მგონია, რომ იაპონელებმა ეხლავე იერიში მიიტანონ რუსის არმიაზე; მგონია, იერიშს მიიტანს მარშალი ოიამა, მხოლოდ პორტ-არტურის აღების შემდეგ გაჰბედავს. მაგრამ სანამ სთელის არმიით საერთო იერიშს მოიტანდეს, მარშალი ოიამა, ეტყობა, ცდილობს, თავისი განაპირა მარჯვენა ფრთა (გენ. კუროკის არმია) წინ წასწიოს და რუსის მარცხენა ფრთას გვერდიდან დაუყენოს. თუ მერე იაპონელების უმთავრესი ჯარი გენ. კურპატკინის უმთავრეს ჯარს დასძლევს, გენ. კუროკის არმია გზას უყელებს და უკან აღარ გაუშვებს. სანამ გენ. კუროკის არმია წინ წაიწევს, იაპონელების ჯარი ისევ თავის პოზიციებზე იდგება და იქნება მდ. შახეზე სიჩუმე ჯერ კიდევ რამდენიმე ხანს არ დაირღვეს. ეტყობა, მომავალ იერიშის დროს გენ. კუროკის არმია დიდ როლს ითამაშებს. „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტიც იუწყებოდა დეპეშით, რომ რაც მაშველი ჯარი მოუვიდა, მარშალმა ოიამამ სულ გენ. კუროკს გაუგზავნა ბენსიხუშიო. ეხლა გენ. კუროკის სულ მცირედ 150—160 ათასი კაცი უნდა ჰყავდეს. იაპონიის პირველ არმიის პირდაპირ მანჯურიის პირველი არმია მოქმედებს გენ. ლინევიჩის უფროსობით.

გენ. კუროკიმ ყველაზე წინ თავის განაპირა მარჯვენა ფრთას მიატანინა იერიში გენ. ლინევიჩის არმიაზე. რუსულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებდნენ, იაპონელების რაზმმა, რიცხვით 4 ათასმა კაცმა, ნოემბრის დამდეგს უბრძოლველად დაიჭირა ქალ. ხუაიჟენსიანიო. ხუაიჟენსიანის აღების შემდეგ, იაპონელებმა მხვერავი რაზმები გაგზავნეს ტუნხუაიანისაკენ, 80 ვერსტის მანძილზე ხუაიჟენსიადან, ჩრდილოეთისაკენ. ხუაიჟენსიან-სინცინტინის გზაზე იაპონელები ჯერ არ გაჩენილან, მაგრამ ეჭვი არაა, რომ გენ. კუროკი ერთბაშად ორის მხრიდან, სამხრეთიდანა და აღმოსავლეთიდან დაეცემა სინცინტინს".

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. „ტაიმს"-ი იუწყება: იაპონიის ფლოტი ორ ესკადრად გაიყოფა; ერთი ესკადრა თითონ ადმირალ ტოგოს უფროსობით დიდ ოკეანის მეორე ესკადრის მისაგებებლად წავა, მეორე ესკადრა ადმირალ კამიმურას უფროსობით პორტ-არტურთან დარჩებაო. („რ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტი იუწყება: 11 ნოემბერს თავისუფალ ფლოტის გემმა „ვორონეჟ"-მა დარდანელი გაიარა, ისე, როგორც სატრანსპორტო გემმა. ამ გემზე სამი წყალ-ქვეშ მავალი ნავი ედო. ამნაირადვე მოიქცა გემი „იაროსლავლ"-იც. ამ გემის პოლუბაზეც 4 ექვს დიუმიანი ზარბაზანი და 12 ტყვის მტყორცნელი ედო. („რ.").

„ლაფანის სააგენტო" იუწყება, დრეზდენის იახტა „მარგარიტა" ორის თვის წინად სადღაც გაჰქრა და ეხლა გამოჩნდა, რომ ეს იახტა რუსეთისათვის მიუყიდნიათო („რ.").

ინგლისური სამხედრო გაზ. „ტაი იახტინგ რიჯისტერ" იუწყება: რუსეთმა დიდ ოკეანის მეორე ესკადრისათვის 3 სწრაფლ-მავალი იახტა იყიდა საზღვარ გარედაო: „ფიორენტინა", „კატარინა", და „ემერალდა". („რ.").

ადმირალ როჟესტვენსკის ესკადრა თითქმის დაუბრკოლებლივ შოვობს ინგლისურ ქვა-ნახშირს. ამის თაობაზე ინგლისური კონსერვატიული გაზ. „მორნინგ პოსტ"-ი სწერს: „რუსის ფლოტი შორეულ აღმოსავლეთს მიდის; იაპონიის ფლოტის განადგურებას აპირობს. ნახევარ წლის წინად ინგლისელ სამხედრო მიმომხილველების უმეტესობა დარწმუნებული იყო, რომ ბალტიის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთამდე ვერ ჩააღწევს, რადგან გაზში ქვა-ნახშირს ვერ იშოვისო. რუსებმა სძლიეს ეს დაბრკოლება და დიდძალი უელსის (ინგლისშია) ქვა-ნახშირი იშოვეს ბალტიის ესკადრისათვის. განა ითქმის, რომ მტკიცე ნეიტრალიტეტს ვიცავდეთ, განა ითქმის, რომ ინგლისი პატიოსნად იქცეოდეს? („რ. ვ.").

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი იუწყება, იაპონელები ძლიერ გაჯავრებულნი არიან ინგლისზე. იაპონელებს ისა სწყინთ, რომ რუსეთს დიდძალი ქვა-ნახშირი მოსდის ინგლისიდან, მით უმეტეს სწყინთ, რომ იაპონიას ინგლისში ომის დროს სულ არ უყიდნია ქვა-ნახშირიო. („რ.")

იაპონურ გაზ. „ტოკიო ასახი" („ტოკიოს ამომავალი მზე") 11 სექტემბერს სწერდა: ბოლოს დროს ყველა მხრიდან ცნობა მოდის, რომ ბალტიის ესკადრა ჩვენკენ აპირობს წამოსვლასაო. თუმცა „ტაიმს"-ი ამტკიცებს, ბალტიის ესკადრის ძველი გემები ვერ ხავლენ შორეულ აღმოსავლეთსაო, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით გაზეთს. ბალტიის ესკადრაში ხოლოდ ორი-სამი გემია ძველი, დანარჩენი კი ახალი, სწრაფმავალი, ძლიერი გემებია, ამიტომ აბუჩად ვერ ავიგდებთ ამ ესკადრას. მაგრამ ჩვენ დიდი ხანია მოვემზადენით სტუმრების ღირსეულად და გვეწყინებოდა კიდევაც, რომ რუსის ესკადრა არ წამოსულიყო შორეულ აღმოსავლეთს. მაშინ ჩვენი ფლოტი უფრო გამოიჩენს თავის ძლიერებას და უფრო ისახელებს თავსა. მართალია ეხლაც არა სჯერა ზოგიერთს გაზეთს, რომ ბალტიის ესკადრა ჩვენამდე მოვიდეს, მაგრამ ეს შემცდარი აზრია. დარწმუნებული ვართ, რომ რუსის ესკადრა უთუოდ მოვა ჩვენთან. პორტ-არტურს დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთისათვის. თუ ეს ციხე ხელიდან წაუვიდა, რუსეთის მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში სულ მთლად შეირყევა. აი ამიტომაა, რომ გენ. სტესელი არ გვმორჩილდება და არა ტყდება. ბალტიის ესკადრაც სწორედ პორტ არტურის საშველად მოდის. იაპონიის ფლოტი ღირსეულად დახვდება რუსის ესკადრას, დაეცემა და დაამარცხებს. მაშინ რუსეთს მარტო შავი ზღვის ფლოტი-ღა დარჩება. („რ.").

ახალი ამბავი

◆ კავკასიის მთავართებელმა **დაამტკიცა ქალაქის მოურავებად** ახლად არჩეულნი ტფილისისა—კრისტეფორე ვერმიშევი და ბაქოსი—ირეცკი.

◆ 29 ნოემბრისთვის დანიშნულია **შავი ქვის მრეწველთა საგანგებო კრება.** კრებამ უნდა აარჩიოს წარმომადგენელი სამთო-მადნო საქმეთა საბჭოში და გადასწყვიტოს, რამდენი ფული უნდა გადაიდოს ამ საბჭოსათვის. კრება მოხდება ქუთაისში კავკასიის სამთო გამგეობის უფროსის თანაშემწის ინჟ. ჩენგერის თავმჯდომარეობით.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს **ახალ საბეითალო ინსტიტუტის დაარსება.** ადგილი ჯერ არჩეული არ არის, მაგრამ ფიქრობენ-კი, ახალი ინსტიტუტი კავკასიასა ან ოდესაში დაარსონ.

◆ დღეს, 23 ნოემბრისთვის, დანიშნულია კავკასიის **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება.** კრება მოხდება საზოგადოებისავე სადგომში და დაიწყება საღამოს 8 საათზე. ამ კრებაზე წაიკითხავენ მოხსენებებს: ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი—მებამბეთა კრება და ა. ა. ქალანთარი—ი. ა. სტებუტის ღვაწლი სასოფლო მეურნეობაში. კრებაზე ყველას შეუძლიან დასწრება.

◆ როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, 21 ნოემბერს, როდესაც ახლად გაწვეული ჯარის-კაცები სამხედრო მატარებლით ჩამოვიდნენ, ამათში **სამ კაცს ხოლერის ნიშნები აღმოაჩნდა.** ავადმყოფნი ხოლერიანთა ბარაკში დააბინავეს, ხოლო ვაგონებს დეზინფექცია უყვეს.

◆ **ჯულფის გზაზე** რაც ხანი **ხოლერა გაჩნდა,** 20 ნოემბრამდე ავად გახდა 96 კაცი, მოკვდა 62, 32. სოფელ კიზილჯრაგში ამ ჟამად ორი ხოლერიანია. 21 ნოემბერს სინგაჩალში ავად გახდა ერთი კაცი. საგირის სადგურზედაც ერთი ხოლერიანი აღმოჩნდა, რომელიც ბაქოს საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ **კავკავიდან გვატყობინებენ:** კავკავის ქართულ სკოლის სამზრუნველო კომიტეტის ყოფილმა წევრმა ბ-მა სტეფანე სვიმონისძე ელიაძემ ამ დღეებში დაათვალიერა სკოლის სათეატრო დარბაზი, ძლიერ მოიწონა იგი და შესწირა სკოლას 1000 (ათასი) მანეთი დარბაზის აშენებისთვის აღებულ ვალების გასასტუმრებლად. ბ-ნი ელიაძე წინადაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა—ფულითაც და პირად შრომითაც სკოლის საქმეებში და, იმედია, არც მომავალში მოაკლებს ყურადღებას.

◆ ამას წინად ტფილისის სამხედრო სამკურნალოს უფროსს უთხოვნია გუბერნატორისათვის, დააჩქარებინეთ **ტრამვაის გაყვანა ნავთლუხამდეო.** თავის მხრივ გუბერნატორი სწერს მოურავის მოადგილეს, ამ ტრამვაის დიდი მნიშვნელობა ექნება მთელის ნავთლუხის მცხოვრებთათვის, ამიტომ ქალაქის გამგეობამ დააჩქაროს ეს საქმეო.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა აცნობა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ მას შემდეგ, რაც ქალაქმა გამოსცა სავალდებულო დადგენილებანი ქუჩების დასუფთავების შესახებ, **მეტად უსუფთაოდ არის ის ქუჩები,** სადაც ტრამვაის ლიანდაგია. ვიდრე რკინის გზის ლიანდაგი გადაკეთდებოდა, უსახელო საზოგადოება წელიწადში 6000 მან. გაღებას აპირებდა, თუ საზოგადოება განთავისუფლდებოდა ქუჩების წმენდისაგან. ეხლა 10,000 მანეთსაც გაიღებს, რადგან ლიანდაგს ეხლა უფრო დიდი ადგილი უჭირავს. ამას გარდა ქუჩების დასუფთავების საქმეში ირონაირ პირობებში არიან ღარიბი და მდიდარი სახლის პატრონნი. პოლიცმეისტერი სთხოვს ქალაქის გამგეობას, შეიტანოს საბჭოში მოხსენება სავალდებულო დადგენილებათა იმ მუხლის შესაცვლელად, რომელიც საზღვრავს ქუჩების დასუფთავების ვალდებულებას. ამასთან უსახელო საზოგადოებას უნდა გადახდეს ის ფული, რაც საჭიროა ქუჩების ერთი ნაწილის დასასუფთავებლად.

◆ რუსეთში არსებობს იმპერატორის ალექსანდრე მესამის სახელობაზე **რუსეთის საისტორიო განათლების განმავრცელებელი საზოგადოება.** ამ საზოგადოების საბჭოს განუზრახავს ბათუმში განყოფილების დაარსება.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზიდან კიდევ **ბაიწვიეს იმიერ-ბაიკალის** რკინის გზაზე რვა მემანქანე.

◆ მთელ ტფილისის გუბერნიიდან წელს **ჯარში გაყვანილ** იქნა სულ 3416 კაცი.

◆ 11 ნოემბერს დაიწყო მოქმედება **ყვირილის ახლად დაარსებულმა** საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ.

◆ სად. აჯიქაბული. 20 ნოემბერს გახდა ავად ხოლერით მუშა აბდულ გუსეინოვი, რომელიც ბაქოს ბარაკში გაჰგზავნეს.

◆ ერევანი. 20 ნოემბერს გარდაიცვალა აქ ხოლერიანი, რომელიც ეჩმიაძინის სადგურიდან მოიყვანეს.

◆ სად. ბაქო. 21 ნოემბერს, დილის 11 საათსა და 45 წ., როდესაც მატარებელი № 171 მიდიოდა, მე-801 ვერსზე დაეწია და დაჯახა დამტვრებით ორთქლ მავალი. დაიმტვრა ორივე ორთქლ მავალი და ნავთის სამი ცარიელი ვაგონი. ლიანდაგი რამდენიმე საჟენი წახდა.

◆ სად. წიფა. 21 ნოემბერს, როდესაც სამხედრო მატარებელი № 22 მე-163 ვერსზე მიდიოდა, კონდუქტორს შეენიშნა, რომ ერთი ფორკოველი გადასხნოდა ვაგონს. ორთქლმავალმა ნიშანი მისცა მეორე ორთქლმავალს, რომელიც უკანიდან შველოდა, რომ გაჩერებულიყო, მაგრამ მშველელი ორთქლმავალი ვერ გაჩერდა; ისე მოაწვა ვაგონებს, რომ ერთი ვაგონი მთლად გადასცდა ლიანდაგს. ჯარის კაცები არ დაშავებულან, მხოლოდ მატარებელმა 4 საათს დაიგვიანა.

◆ სად. ეიბათი. 21 ნოემბერს ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა აქ სადგურის უფროსი და მისი ოჯახი, უფროსი ტელეგრაფისტი ხუციშვილი, მეკანტორე სალავათოვი და იმისი ქალი, მეისრე მისენკო. ყველა ესენი გაიგზავნენ ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში. ისინი, რომელთაც არ ეტყობათ ნაკბენი: მეკანტორე სალმატინი, მეისრეები გებელია, ოჭანეზოვი, მახათაძე, მარენკო, ბარსკი და სარალიძე დარჩნენ სადგურზე. მაგრამ რკინის გზის უფროსმა ექიმმა მისწერა, ყველანი დაუყოვნებლივ ტფილისს გაიგზავნონ.

◆ ტფილისის საბჭოს სარევიზიო კომისიამ თავის წევრს ხმ. ბაღდასაროვს დაავალა გაეცნოს იმ საქმეებს, რომელიც აღიძრა ქალაქის ადგილების მითვისების გამო და მოხსენება კომისიას წარუდგინოს.

◆ გუშინ ტფილისის საბჭოს სარევიზიო კომისიამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, დაამზადოს ერთი წიგნი, სადაც უნდა იწერებოდეს ხმოსნების განცხადებანი ამა თუ იმ საყურადღებო საგნის შესახებ. წიგნში უნდა აღინიშნოს, რა შედეგი მოჰყვა ამ განცხადებას, რა მდგომარეობაშია და სხვა. ამასთან კომისია სთხოვს გამგეობას, შეატყობინოს, 1902 წლიდან ხმოსნებისაგან რამდენი განცხადება მიუღია, რა საგნის შესახებ და რა მდგომარეობაშია ეს განცხადებანი. კომისიამ აგრეთვე აღნიშნა შემდეგი: კვირაობით ბაზარში სავაჭრო პოლიციის აგენტებისაგან ვაჭრები იძენენ ვაჭრობის უფლების მოსაპოვებლად მარკებს. რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ ბევრნი მარკებს არ ინახვენ ვაჭრობის გათავებამდე და ჯიბეში შედის. გადაუხდიათ თუ არა ფული. ამიტომ კომისია სთხოვს, თუ ვაჭრები შემდეგაც მარკებს არ შეინახვენ, მეორედ გადაახდევინეთ ფულიო.

◆ განჯა: 20 ნოემბერს განჯის ოლქის სასამართლოდან გაიქცა ტუსაღი მარტიკოს ადაჯანოვი, 22 წლის კაცი, რომელსაც რვა წლის კატორგა ჰქონდა გადაწყვეტილი.

◆ ბორჩალოს მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ნოემბრის პირველ ნახევარში: 1. ქ. თელავის ვაჭრის სარქის პოჰოსიის ცხვარს ალავერდის ბაქანთან დასცემია რამდენიმე შეიარაღებული თათარი, აუტეხია თოფის სროლა და გაურეკია 90 სული ცხვარი; 2. სოფ. ახის მართმადიდებელთა ტაძარი ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გაუტეხნიათ, წაუღიათ ფულად 70 მანეთი და ეკკლესიის ძვირფასი ნივთები; 3. სოფ. ყიზილ-კილისში, სამად-ჰაჯი-ოღლის, მაჰმედ-მალი-ოღლის და აბდულ-ამზა-ოღლის მინდორში ჩხუბი მოსვლიათ. ჩხუბის დროს მაჰმედ-მალი-ოღლის დაურტყამს კეტი თავში აბდულ-ამზა-ოღლიათვის და იქვე მოუკლავს; 4. სოფ. ახლილალში სპარსეთის ქვეშევრდომს ალი-მამედ-ოღლის და მამედ-ალი-მამედ-ოღლის მოსვლიათ ჩხუბი, რომლის დროსაც პირველს მეორე ხანჯლით სამ ადგილას სასიკვდილოდ დასჭრა; 5. ჩერნომორსკი პოლკის ყაზახს მეფოდი ხანგენკოს ორ სხვა შეიარაღებულ ყაზახთან ერთად მოუტაცნია 15 წლის ქალი სოფ. ვარანცოვკის მცხოვრები ანნა ხელნიკოვისა და დამალულა; 6 ვიღაც ქურდებმა გასტეხს სოფ. კუნლარში იაგორ გარაზოვის სამანუფაქტურო მაღაზია და ოცდა ათი თუმნის საქონელი წაიღეს; 7. სოფ. გეურხ-არხთან მდინარე ალგეთში იპოვნეს დამხრჩვალი გვამი ერთის წლის ბავშვისა, რომელსაც ყელზე ქვა ჰქონდა მობმული. ყმაწვილი სოფელ. გეურქ-არხის მცხოვრების ვალიბაქირ-ოღლი ხაზარისა აღმოჩნდა. იგი თავის მამის გადუგდია და თითონ დამალულა. იმის შესაპყრობად ზომები იქმნა მიღებული.

◆ დუშეთის მაზრაში შემდეგია ამბები მომხდარა ნოემბრის პირველ ნახევარში: 1. სოფ. ცდოში (ხევი) ალექსი სამგოშვილმა ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა თავში თავისივე ერთსოფლელი—ივანე ციკლაური; 2. სოფ. შემომტკარში ჩიტო შაგოშვილმა მოქმედებით შეურაცხყოფა მიაყენა (სცემა) ადგილობრივი მამასახლისის თანაშემწეს სოლომონ პავშიშვილს თანამდებობის აღსრულების დროს; 3. სოფ. ზახორში (ქსნის ხეობა) დამო მუზაშვილმა ხანჯლით მოჰკლა ქვრივი ქეთევან მუზაშვილისა; 4. დუშეთში ვიღაც ბოროტ-მოქმედმა სასიკვდილოდ დასჭრა ხანჯლით ძილის დროს ლალიკოლის (გორის მაზრა) მცხოვრები სოლომონ ბეინაშვილი; 5. გრემისხევში დიდი ცეცხლი გაუჩნდა ადგილობრივ მცხოვრების ნიკოლოზ ჩუბალაძის სახლს; ზარალი 2000 მანეთისაა; ეჭვი ფიდო თიმორაშვილზე მიიტანეს; 6. სოფ. ლოუშაში დღეობის დროს ვიღაც ბოროტ-მოქმედმა ხანჯალი დასცა და მოჰკლა ადგილობრივი მცხოვრები მიხა [illegible]ცრაშვილი, ეჭვი მიუტანიათ სოფ. ხორხის მცხოვრებზე გიორგი ბაქაურსა, ნიკო, ალექსანდრე ხუცულაურსა და მიხა აპტილიშვილზე. 7. სოფ. ციხის ძირში ვიღაც უცნობი შეიარაღებული კაცი დაეცა ნახირს და 4 ცხენი გაიტაცეს; 8 სოფ. ძევში მოჰკლეს ამავე სოფლის მცხოვრები ეფრემ ბაკურევი; 9 სოფლებ ახალდაბასა და ერედს შუა ვიღაც კაცებმა გაჰქურდეს შეძლებული ებრაელი მიხეილ დავარაშვილი და წაართვეს რაც რამ ჰქონდა; 10. სოფ. ახალგორში, ადგილობრივ სასოფლო-სამმართველოს სადგომში უეცრად გარდაიცვალა სამსახურის საქმეზე მოსული სააქციზო მოხელე ვასილ გლაზოვირაგოშინი,

◆ ბაქო. 21 ნოემბერს ღამე, როდესაც მუშა იმამ ჯალალ-ოღლი ლიანდაგს გადადიოდა, მოასწრო მატარებელმა და მარცხენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ტფილისის მე-5 საპოლიციო უბანში ანჩისხატის ქუჩაზე თამარ მდივნის სახლში ვიღაც ქურდებმა გასტეხეს ერთი მდგმურის სადგომი და მოიპარეს სხვა-და-სხვა ნივთები 300 მანეთისა.

◆ სოფელ მალხაზოვკას მცხოვრებ მალაკნის ვასილ სოსნინის ცოლი გრიგოლ მარკინთან სცხოვრობდა. ამის გამო სოსნინი გადაჰკიდებია მორკინს. 20 ნოემბერს ესენი ერთმანეთს შეხვედრიან ზაბაროვის საზოგადო სახლში. სოსნინს ესროლია რევოლვერი და მარკინი იქვე გაუთავებია. მოკლულს ტყვია გულში მოხვედრია. დამნაშავე დააპატიმრეს.

◆ სად. ყარაიაზი. 22 ნოემბერს შეპალე სამსონ დულაევი მატარებლიდან ჩამოხტომის დროს ჩამოვარდა, მატარებელ ქვეშ მოჰყვა და ძალიან დაშავდა. დაშავებული ტფილისის საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ ეჩმიაძინი. 20 ნოემბერს, საღამოს ასე 5 წუთზე, რკინის გზის მე-116 ვერსზე ექვსი უცნობი კაცი თავს დაეცა და გაძარცვა გზის დარაჯი.

◆ ყვირილა. 20 ნოემბერს, დილის $8^1/_2$ საათზე, როდესაც კონდუქტორი ა. კუზიაკინი ვაგონებს ერთი მეორეზე აბამდა, ბუფერებს შიგნით მოჰყვა და ძალიან დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში დაწვინეს.

◆ სად. ახალ-სენაკი. 20 ნოემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, მანევრების დროს, მატარებელი № 450 ლიანდაგიდან გადავარდა. უბედურება არა მომხდარა-რა.

◆ ტფილისის გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის თითო თუმნით დააჯარიმა შემდეგი სახლის პატრონნი: პირველ უბანში: კონსტანტინე მაისურაძე, გიორგი ოდიაშვილი, ალექსანდრე ცაბაძე, ალექსანდრე თავზაძე, ივანე თავშავაძე, ზაქარია გულიძე, დიმიტრი ახალკაციშვილი, ივანე ვომიაშვილი. მე-7 უბანში: მიხეილ ახლამაზოვი, სოლომონ ჯანგზოვი, დარჩო ვარდანოვი, ავეტიქ ხაჩატუროვი, ალა გარიბოვი, პოტელემა დემუროვისა, გრიგოლ რევაზოვი, ელისაბედ კოროლიოვი, სერგეი თუმიშპაშვილი და მიხეილ ჩაბაშვილი.

◆ ამას წინად მეპურის ვასილ არჩვაძისთვის დუქნიდან ვიღაც ქურდს ამოუცლია ფული. ქურდი, ტფილისის მოქალაქე იაკობ მესროფოვი, უკვე დააპატიმრეს.

◆ ბორჩალოს მაზრიდან სამხედრო ბეგრის მოსახდელად ჩამოსულან მიხეილ სევასტიანოვი და ვასილ სობოვი. პოლიციის მე-9 ნაწილში მათ შეჰხვედრია ვიღაც ჯიბგირი, რომელსაც ქისა დაუგდია და შეუშინებია, თქვენ იპოვნეთ ჩემი ფულიო. ჯიბის ჩხრეკის დროს ქურდს სობოვისათვის 65 მან., ხოლო სევასტიანოვისათვის 30 მან. ამოუცლია. ქურდი ახალციხის მცხოვრები პეტრე ბაბუროვი დაიჭირეს.

◆ 20 ნოემბერს თათრის სასაფლაოს ქუჩაზედ მირზოევის სახლის აივანი ჩამოინგრა, ქვეშ მოიტანა სიღნაღის მცხოვრები ქვრივი ნატალინ ბურგუჩევი (72 წლისა) და ფეხები მოამტვრია. საზოგადოდ ქალაქის ამ ნაწილში ბევრი მინგრეულ-მონგრეული კოხმახია და ყურადღებას-კი არავინ აქცევს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ მას შემდეგ, რაც ქალაქის გამგეობამ აცნობა მომრიგებელ მოსამართლეს, კავკასიის მხარე ხოლერის მხრივ საშიშოდაა ცნობილი და საჭიროა მიღებულ იქმნას უფრო სასტიკი ზომები სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევების დასასჯელადაო, მომრიგებელი მოსამართლე სასჯელთა წესდების 102 მუხლის ძალით ასამართლებს დამნაშავეთ ნაცვლად 29 ან 55 მუხლისა, ესე იგი თუ წინად 1—3 მანეთით აჯარიმებდნენ დამნაშავეთ, ეხლა სამი თვით საპყრობილეს, ან 300 მანეთის ჯარიმას უსჯიან. საქმეების გარჩევაც სულ მოკლე ხანში ინიშნება. საჭიროა ქალაქის მცხოვრებლებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და ეცადნენ, რომ სისუფთავე დაიცვან როგორც ეზოებსა, ისე ქუჩებში, თორემ ოქმი თუ შეუდგინეს, მერმე ისე ადვილად ვეღარ დაიძვრენენ თავს სასჯელისაგან, როგორც ამდენ ხანს.

◆ ამ წლის 5 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში მოხდება ხსენებულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. კრებამ უნდა განიხილოს: 1) ფინანსთა მინისტრის წინადადება, შევსებულ იქმნას საზოგადოების ზარალი; 2) მთავრობის რევიზიის ანგარიში; 3) საზოგადოების 37 წევრის განცხადება იმის შესახებ, რომ: ა) მოწესრიგებულ იქმნეს შავ-ქვასა და სხვა საქონელში მიცემულ სესხის საქმე, ბ) გადიდებულ იქმნას საზოგადოების საღებ-მიცემის თანხა, გ) შემცირებულ იქმნას ბანკის მართვა-გამგეობისათვის საჭირო ხარჯები და დ) არჩეულ იქმნენ საზოგადოების მოსამსახურე პირნი.

◆ ინჟენერ ალიბეგოვის მიერ ქალაქის გამგეობასთან დადებულ პირობის უმთავრესი მუხლები ტელეფონის გამართვის შესახებ ასეთია: ალიბეგოვს ეძლევა ქალაქისაგან ტელეფონის გამართვაში 12,000 მანეთი, ტელეფონის სადგური უნდა გაკეთდეს ტფილისის ქუჩაზე, საკათედრო ტაძრის პირდაპირ, ქალაქის შენობაში; ყოველგვარი მუშაობა ტელეფონის გასამართავად უნდა გათავდეს ექვსის თვის განმავლობაში პირობის ხელის მოწერიდან, ესე იგი 12 ნოემბრიდან; თუ ბ-ნმა ალიბეგოვმა ექვს თვეში არ შეასრულა საქმე, უნდა გადაიხადოს ქალაქის სასარგებლოდ ჯარიმა 50 მანეთი ყოველს ვადა გადაცილებულს დღეში; ერთი თვის შემდეგ პირობას ძალა ეკარგება და ბ-ნ ალიბეგოვს საქმე ჩამოერთმევა; ქალაქის გამგეობა ვალდებულია გადაუხადოს ბ-ნ ალიბეგოვს 12,000 მანეთი სამის წლის განმავლობაში ექვს ნაწილად. აქედან 9000 მანეთი უნდა გადაუხადოს პირველ $1^1/_2$ წლის განმავლობაში, ხოლო 3,000 მანეთი მეორე წელიწად-ნახევარში. ამასთან ქალაქი ვალდებულია $6^0/_0$ აძლიოს სარგებლად ბ-ნ ალიბეგოვს, თუ თავ თავის დროზედ არ გადაუხადა ფული.

◆ როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ამ დღეებში მოხდება ქუთათურ ვაჭრების კერძო კრება, რომელსაც მსჯელობა ექნება შესახებ იმისა, თუ რა ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული, რომ საურთიერთო ნდობის საზოგადოების ეხლანდელი მდგომარეობა გამოკეთდეს. დამალვა აღარაა, რომ ბანკის საქმეები ამ ჟამად ვერ არის სასურველს მდგომარეობაში.

◆ საგუბერნიო სამკურნალო გამგეობა სწერს ქალაქის გამგეობას, რომ რიონის მარჯვენა ნაპირზე დაინიშნოს ადგილი ხოლერით გარდაცვალებულთა დასასაფლავებლად, თუ ვინიცობა, ეს სენი ქუთაისშიაც გაჩნდა.

◆ ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა პარიკმახერი პავლე. ეგონათ, ხოლერით გარდაიცვალაო, და მთელი ქალაქი შეძრწუნდა, მაგრამ ტყუილი გამოდგა.

◆ 29 ნოემბერს, დილის 12 საათზე, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა ამ დაგირავებულ ნივთების გასაყიდად, რომელთაც გირაოს ვადა გაუვიდათ.

◆ კვირას, 21 ნოემბერს, ადგილობრივი ქართული დრამატიული დასი გ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგენს იბსენის ოთხ მოქმედებიან დრამას „ჩრდილოეთის გმირნი“, თარგმანი ნ. გეგელაშვილისა. ეს პიესა პირველად იდგმება ქართულ სცენაზე; წარმოდგენისათვის მომზადებულია ახალი ტანისამოსი, როგორც ბილეთების გაყიდვიდან სჩანს, წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრება.

◆ საბჭოს დადგენილება ქალაქის გამგეობის წევრად გრ. ი. გველესიანის არჩევის შესახებ უკვე წარედგინა გუბერნატორს

პრესსა

რუსის სოფელი გაჭირვებული იყო და არის, მაგრამ დღეს ომის მიზეზით ეს გაჭირვება გაორკეცებულია, და არ უნდა გვიკვირდეს, თუ ისეთ მოვლენას შევხვდებით, როგორიც „რუსკი ვედომოსტი“-ს 320 ნომერშია მოთავსებული.

როგორც ვიცით, ნამდვილ ჯარში გაწვეულ სათადარიგო ჯარის კაცების ოჯახობას შემწეობა უნდა მიეცეს, მაგრამ, როგორც არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, ამ შემწეობის მიღება ძალიან ჭირს და აი, ბესარაბიის გუბერნიაში, იზმაილის მაზრაში დედაკაცების „ბუნტი“ იყო, რად არ გვაძლევთ გადაწყვეტილ დახმარებასო.

მღელვარება ისე გაიზარდა, რომ გაწვეულ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახების დახმარების მოსაწყობად ვიცე-გუბერნატორი წავიდა ადგილობრივ და აუცილებელ საჭიროებად დაინახა, რომ აღარ დაეცადა სამინისტროს ნებართვისათვის და დაუყონებლივ დაერიგებინა თვენახევრის შემწეობა (10,000 მ.) ხალხის გამოსაკვებად გადადებულ თანხიდან. ეს ამბავი მიუვიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მან დეპეშით მოითხოვა ცნობები, თუ როგორი სუფსიდიაა საჭირო იზმაილის მაზრისათვის. ერობის ცნობებიდან სჩანს, რომ ახალ წლამდე სულ უკანასკნელი 21 ათასი მანეთია საჭირო.

ომის ხარჯი განუზომელია, მაგრამ ცოტა ფული არც იმას ჰყოუნდება, რომ უკიდურეს შიმშილისაგან იხსნან ჯარში გაწვეულთა უმწეო ცოლშვილი, თუ, რასაკვირველია, ამ ხსნას ეცდებიან.

და რომ ჯარში გაწვეულების ცოლ-შვილი უკიდურეს მდგომარეობაშია, ამას „ნოვოე ვრემია“-ს (10314) კორესპონდენტიც ვერ მალავს.

დადგა ზამთარიც. ვინც პური გალეწა, მაძღარი და დამშვიდებულია, მაგრამ ჩვენი საბრალო „სოლდატკები“ (სალდათის ცოლები) კი, რომელთა ქმრები დიდი ხანია ომის ველზე არიან, სულ დარბიან და ეძებენ რაღაც „სიმართლე“-ს, რომ ოჯახი არ დაინგრეს და ბავშვები გამოკვებოს. ასეთ მდგომარეობაშია ისინიც კი, ვისაც ნათესები ჰქონდა. ამათ ხომ პური მაინც უნდა ჰქონდეს საკმარისი, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამათაც ისე, როგორც სხვებს, გადასახადებსა და შიმშილობის დროს ხაზინიდან მიღებულ სესხს სთხოვენ... „გადასახადი შემოიტანეთ სალდათის ცოლებო, გადასახადი“-ო, იძახის მთავრობა. „აბა საიდან მოვიტანოთ, ბატონებო: ქმრები ომშია და, რაც პური მოგვივიდა, თქვენც თვითონ ხედავთ“-ო. „ეგ ჩვენი საქმე არ არის, ნაბრძანებია და უნდა მოიტანოთ, გადასახადიო“, ეუბნებიან... თვალცრემლიანი და მწარე ფიქრებში გართული ბრუნდებიან სალდათის ცოლები სახლში და ერთი ხბოს ყიდის, მეორე ღორს და მესამე უკანასკნელ ძროხას, რომ საჯაროდ არ გაუყიდონ. მეორე დღეს სალდათის ცოლები უტოვებენ მეზობლებს თავიანთ წვრილ შვილს და მირბიან მღვდელთან, მასწავლებელთან ან ქალაქში ნაცნობ მოხელესთან და ვაჭართან „სამართლის საძებრად. ყველა გრძნობს, რომ სალდათის ცოლები მართლები არიან, მაგრამ ვერას შველიან...

⁂

ბირის სამაზრო ერობის ხმოსანს ი. ჟუკოვსკის წარუდგენია საინტერესო მოხსენება საგლეხო კითხვის შესახებ. ამ მოხსენებაში უფრო საინტერესო მომხსენებლის საზოგადო მოსაზრებანია. სხვათა შორის, ბ. ჟუკოვსკი ამბობს:

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მხოლოდ რიგზე დაყენებული დაწესებულებანი ზრდიან ხალხს. საერობო დაწესებულებანია ამის დამამტკიცებელი საბუთი და ჩვენი ბრალი არ არის, თუ ენერგიას საქმეზე კი არ ვხარჯავთ, არამედ სხვა-და-სხვა შემაფერხებელ გარემოებათა წინაღმდეგ ბრძოლაზე. ძნელია მუშაობა, როცა განხეთქილება და უნდობლობაა გამეფებული. ჩვენ ყოველ წელს ვშუამდგომლობთ, რომ, აჩქარებულად შედგენილი კანონ-პროექტების თავიდან ასაცილებლად, ის განზრახვანი, რომელიც ადგილობრივ ცხოვრებას ეხება, ჯერ უნდა გადაეცეს განსახილველად ადგილობრივ საერობო დაწესებულებათ და მოსმენილ იქნას დაინტერესებულ, ერობის ნამდვილ რწმუნებულების აზრი... რომ კანონი ნამდვილი კანონი იყოს, საჭიროა არა მარტო მისი გამოქვეყნება, არამედ ისიც, რომ ეს კანონი ცხოვრებაში შევიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვსთესავთ უკანონობას და არა სამართალსა და წესის გარანტიას. ამიტომ ისევ აღვძრავთ შუამდგომლობა, რომ მოისმინონ ჩვენი გულწრფელი პატიოსანი აზრი საგლეხო კანონმდებლობის გადასინჯვაზე, დავამტკიცოთ, რომ სრულ-ასაკოვანი ვართ და შეგვიძლია გონივრულად მოვეპყრათ ჩვენს შინაურ საქმეებს; იქამდე ნუ მივალთ, რომ შემდეგში გვრცხვენოდეს ჩვენისავე სიმხდალისა და სიჩუმისა, როცა უნდა ხმა ამოგვეღო.

რუსეთის ყოველ კუთხეში გაისმის ასეთი სიტყვები, გამამხნევებელი და იმედის მომცემი. ვნახოთ.

თავ. გ. დ. ერისთავის სახსოვრად

(წაკითხული 6 ნოემბერს ქუთაისის თეატრში)

(შემდეგი *)

გ. ერისთავი რომ დაბრუნდა პოლონეთიდან, ის უკვე მომზადებული იყო იმ როლისათვის, რომელიც ერგო თეატრის დაარსების საქმეში. ჯერ ჩვენში თეატრის ხსენებაც არსად იყო, რომ გიორგის პირველი კომედია „გაყრა“ მზად ჰქონდა და ხელნაწერი იკითხებოდა იმ ოჯახებში, სადაც მაშინ იკრიბებოდნენ ჩვენის მწერლობის მოყვარულნი პირები. ეს ოჯახები იყვნენ განსაკუთრებით კნ. მანანა ორბელიანისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მუმუკა ორბელიანისა. ამ ქართულ მწერლობის მოყვარულთ წრის სულად და გულად ითვლებოდა გ. ერისთავი. ამ წრეში დაიბადა პირველად ქართულ ჟურნალის დაარსების აზრი, რომელიც განხორციელდა შემდეგ გიორგის მიერ „ცისკრის“ გამოცემით.

ყველაზე უდიდესი ღვაწლი გიორგი ერისთავს მიუძღვის თეატრის დაარსების საქმეში. ის მელექსეც არის, მაგრამ იმისი ლექსები ყურადღებას ვერ დაიმსახურებდნენ, რომ იგი განსაკუთრებით კომედიების მწერალი არა ყოფილიყო და, გარდა ამისა, საერო თეატრის შექმნაში არ გამოეჩინა ის ნიჭი, რომელსაც ორგანიზატორობის ნიჭს ეძახიან.

სამართლიანობა თხოულობს აღვნიშნოთ აქვე, რომ ის დრო, როდესაც გიორგის ხელით ქართულ თეატრის დაარსება, კავკასიისთვის და განსაკუთრებით ჩვენთვის, ბრწყინვალე დროდ უნდა ჩაითვალოს. ის დრო იყო, როდესაც კავკასიის მთავარმართებლად დაინიშნა თავ. ვორონცოვი. არ ვიცით, რა პოლიტიკით და მოსაზრებით ხელმძღვანელობდა თავ. ვორონცოვი, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენს საზოგადოებრივს და გონებრივს განვითარებაზე იმის მმართველობას უდიდესი გავლენა ჰქონდა. ეს დრო იყო დიახ პროგრესსიული დრო, დრო მოქალაქეობრივის ცხოვრების განვითარებისა. თავ. ვორონცოვი თითონაც და იმისი მეუღლეც ევროპიულად განვითარებულნი იყვნენ და კარგათ ესმოდათ მნიშვნელობა ყველა იმ დაწესებულებისა, რომელნიც ემსახურებიან საქვეყნო წარმატების საქმეს. თავ. ვორონცოვი და იმისი მეუღლე არამც თუ არა სდევნიდნენ, არც ამცირებდნენ ჩვენს დედა-ენას, პირიქით მზრუნველობას იჩენდნენ ქართულ ენის დაცვის საქმეში. რუსულ გაზეთთან და თეატრთან ერთად თავ. ვორონცოვმა ჩვენს თეატრს და ჟურნალს დაუდვა საფუძველი, ვინაიდან ესმოდა დიდი მნიშვნელობა ხალხისთვის როგორც პირველის, ისე მეორესაც; მაგრამ ამ დროს საჭირო იყო ისეთი ქართველი, რომელსაც უნდა შესძლებოდა თავ. ვორონცოვის წადილის ასრულება და ქართულ თეატრის დაფუძნება. ამგვარი ქართველი იყო გ. ერისთავი, რომელიც პირველის მოწოდებისთანავე წარუდგა თავ. ვორონცოვს თავის „გაყრის“ ხელნაწერით. ამას მალე მოჰყვა პირველი ქართული წარმოდგენა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, რადგან თავში ვსთქვით. პირველს წარმოდგენას, სხვათა შორის, თვით თავ. ვორონცოვი თავის სახლობით დაესწრო და აღტაცებულის ტაშის ცემით აჯილდოვებდა მოთამაშეებს. ამის შემდეგ გიორგიმ მალე დაიმსახურა ვორონცოვის განსაკუთრებული ყურადღება და დაინიშნა მასთან საგანგებო საქმეთა უმცროს მოხელედ. პირველს ქართულს წარმოდგენას მოჰყვა მეორეც. 3 მაისს იმავ 1850 წ. ითამაშეს მეორე წარმოდგენა გ. ერისთავის „დავა“ ახლად აშენებულს თეატრში, თამამშოვის ქარვასლაში.

რა კი დარწმუნდა თავ. ვორონცოვი, რომ სამუდამო ქართული თეატრის დაარსება შეიძლებოდა ტფილისში, ის არ შეუშინდა არავითარ ხარჯს და განხორციელება ამ საქმისა მიანდო გიორგის. ადვილი არ იყო გიორგისთვის იმ საზოგადო კარ-ჩაკეტილობის დროს სამუდამო დასის შედგენა. ადვილი არ იყო დაეძლია ცრუმორწმუნეობა იმ საზოგადოებისა, რომელსაც ქალის სცენაზე გამოსვლა სამარცხვინო საქმედ, უნამუსობად მიაჩნდა... მაგრამ რასა გიორგი იქნებოდა, თუ დაბრკოლებას ვერა სძლევდა! ტფილისში რომ ვერაფერი მოახერხა, მიმართა სოფელს და ძალიან მოკლე ხანში, დიდის მეცადინეობისა და მხნეობის წყალობით ჩამოიყვანა იქიდან დასი, რომლის მონაწილეებმაც შემდეგში გაითქვეს სახელი ნიჭიერის მსახიობებისა. ეს პირველნი მსახიობნი ჩვენის მუდმივის თეატრისა დღეს ჩვენ დიდებითა და ვაშათი უნდა მოვიხსენიოთ. ესენი იყვნენ: დვანაძე, ტატიშვილი, რჩეულიშვილი, კორძაია, კიკნაძე და ელიოზიშვილი; ქალები: საკაძისა, ტატიშვილისა, ანტონოვისა და ბაფერთოვისა. ამათ გარდა სხვებიც იყვნენ დაბალ ხარისხოვანნი. ის დასი ვორონცოვის წყალობით ნივთიერად უზრუნველ-ყოფილი იყო, რადგან იმის შესანახად გიორგის ეძლეოდა წელიწადში ხუთასი თუმანი თუ არა, ოთხასი მაინც.

იმდენად გაწვრთნა გიორგი ერისთავმა თავისი დასი, რომ შესაძლებელი შეიქნა ისევ „გაყრის“ დადგმა 1 იანვარს 1851 წ. მუდმივ ქართულ წარმოდგენების დასაწყებად. დიდი შრომა დააწვა თავზე გიორგის თეატრის მეთაურობით, რადგან ამ საქმეში ყველაფერი ის იყო: რეჟისორიც, ადმინისტრატორიც და პიესების ავტორიც. ამ ხანებში დასწერა მან თავისი პიესები: „ძუნწი“, „თილისმის ხანი“, „უჩინ-მაჩინის ქუდი“, „თუგზის კანტორა“, „ჟუჟრუჟა ათაბაგი“ და კიდევ სხვები, რომლებსაც ჩვენამდის არ მოუღწევია.

პიესები გ. ერისთავისა სარკეა თანამედროვე საზოგადოებისა, იმის ზნე-დაცემულ ცხოვრებისა. ამ სარკეში დაინახავთ სასაცილო სახეს ყველა იმისა, რომელნიც ტონს აძლევდნენ მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ან კი რასა ჰქვიან საზოგადოებრივი ცხოვრება? ის ზნეობით მახინჯი კაცები, რომელთაც გვიხატავს ერისთავი თავისს კომედიებში, ძალიან დაშორებულნი იყვნენ კაცურ იდეალს. ისინი შეადგენდნენ საზოგადოებას კი არა, უმეცართა და უზნეოთა ბრბოს, ხროვას, რომლის ყოველი მოქმედება სიცილს და თან მწუხარების ცრემლებს იწვევდა. ამ ადამიანთა უზნეობა, უმეცრება და სხვა ნაკლულევანება ამოიღო გიორგიმ ნიშანში და ამხილა თავისს კომედიებში. მან იცოდა, რომ თანამედროვე საზოგადოებას ვერაფრით ვერ ააღელვებდა. ვერ აგრძნობინებდა ბიწიერებას, სამარცხვინოს თავის ცხოვრებისას, თუ არ მწარე დაცინვით. და ამ დაცინვის ძლიერს იარაღს მიჰმართა გულ-მხურვალე პატრიოტმა, რათა დაეხსნა საზოგადოება ზნეობრივ გათახსირებისაგან. გიორგიმ კარგად შეიგნო, რომ ის თანამედროვე ნიჭიერი პოეტები, რომელნიც ძლიერის ჩანგის ჟღერით ქვეყნის დიდებას ცას შესჩიოდნენ, მაშინდელ ქართველის გაბრუებულ გულს ვერ აანთებდნენ მაღალის გრძნობებით. კიდეც ამისთვის იყო, რომ გიორგიმ ჩანგი დასტოვა და განსაკუთრებით კომედიების წერას მიჰყო ხელი. დარწმუნდა, რომ მაშინდელი საზოგადოების გასწორება შეიძლებოდა მხოლოდ დაცინვით, ნაკლულევანებათა მხილებით. გიორგის პიესები თანამედროვე საზოგადოების სარკეა მეთქი. ამ სარკეში, უწინარესს ყოვლისა, მოსჩანს ჩვენი იმ დროინდელი თავად-აზნაურობა, რომლის წარმომადგენელნი არიან გიორგის პიესების ტიპები: პავლე, ონისიფორე, ამირინდო, ანდუყაფარ და სხვანი. არავითარი ზნეობრივი იდეალი არ გააჩნდათ ამგვარ კაცებს. მაშინდელ საზოგადოების მოსწრაფებას და საზოგადო მიმართულებას ამნაირად ახასიათებს ბ-ნი ი. მეუნარგია: „სოფლის კაცის სურვილი ამ დროს ზასედატელობის და მდივანბეგობის შოვნას არ სცილდებოდა; დღიურს მის ზრუნვას ან არზების წერა შეადგენდა, ან ნადირობა, ან სამოციანის მოხდა, ან კაკალ-ქვეშ წამოწოლა ჩიბუხით და ქეიფი. სულიერს საზრდოსა და საზოგადოების წარმატებაზე მოღვაწე არსაით სჩანდა. თითქმის იგივე უსაქმობა სჭირდა ქალაქის საზოგადოებასაც“.

უსაქმო, ბედოვლათის ლოთის და ყოვლნაირად დაცემულს ძველს თაობას გ. ერისთავმა დაუპირდაპირა თავის კომედიებში ეგრედ წოდებული „თერგ დალეულთა“ თაობა, ან ახალი თაობა. ეს თაობა განათლებული იყო, სწავლა მიეღო ახალს სკოლაში ტფილისსა, თუ რუსეთში. ეს თაობა გონებით განვითარებულია და საზოგადოებრივ იდეალებითაც არის განმსჭვალული, მაგრამ იმის კეთილ სურვილებს წინ ეღობება ძველ თაობის უძლეველი უმეცრება და ცრუ მორწმუნეობა. მიხეილ და ბეგლარისთანა ახალ თაობის მებრძოლნი ჯერ კიდევ ვერ უძლებენ ძველ თაობის ძლიერებას; ხშირად მარცხდებიან, წვრილმანდებიან და თითონვე ხდებიან მონაწილედ იმ ავზნეობისა, რომელსაც აძაგებენ...

გარდა ამ ორის თაობისა ერისთავის პიესების უმთავრესი ტიპი არის ქალაქელი სომეხი განსაკუთრებით ვაჭარი, რომლის ნიშნობლივს თვისებას შეადგენს ფულის მოყვარეობა. გარეშე ფულისა ამგვარ ტიპებისათვის არაფერი არ არსებობს: არც სინიდისი, არც პატიოსნება, არც ღმერთი. ვაჭარ სომხის ტიპის დახატვაში ერისთავს თუ შეედრებიან მარტო გ. სუნდუკიანცი და ა. ცაგარელი, მაგრამ სიდიადე გიორგის ნიჭისა შედარებით ამ მწერლებთან იმით გამოიხატება, რომ მას მოწინავე არავინ ჰყოლია და პირველად მან დაგვიხატა ვაჭრის ტიპი...

გარდა ამ ტიპებისა ერისთავის პიესებში ხელოვნურად არის დახატული ტიპები ქართველის გამდლისა, იმერლისა, მოქრთამე მოხელისა და სხვათა. დიდს ღირსებას ერისთავის პიესებისას შეადგენს ცოცხალი ენა, აგრეთვე შესაფერი მოძრაობა სცენებისა და მოქმედებისა. თუ გავიხსენებთ, რომ გიორგის ჩვენში არავინ ჰყოლია წინა-მოადგილე დრამატიულს ხელოვნებაში, ჭეშმარიტად გაუზომელია იმისი ღვაწლი და მნიშვნელობა ჩვენის თეატრის აღორძინების საქმეში. ტყუილად კი არ უძახოდა ვორონცოვი გ. ერისთავს „ქართველთა მოლიერს“. ტყუილად კი არა სწერდა ჩვენი ცნობილი მწერალი პლატონ იოსელიანი „გაყრის“ პირველ გამოცემის წინასიტყვაობაში: „მიხედეთ სხვათა ხალხთა ევროპისა და აზიისა, გაიგეთ გაბეჯვით, მეთვრამეტე საუკუნემდე ქართველნიცა მდიდარნი იყვნენ მწერლობითა, მაგრამ მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხვათა, არა იყო ჩვეულებითის საუბრისა ენითა, რომელიც არის და უნდა იყოს ჭეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველისა, ქართულსა ენაზე, კომედიისა, თავადმან გიორგი დავითის ძემან ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახლისა გვარისა მწერლობისათვის. სახელმან მისმან ქართველთათვის ესრეთვე მიიღო ღირსება, რომლისათვისაც ეკურთხებიან ბერძენთა და რომაელთა კომიკთა არისტოფანეს, კრატინის, პლავტუსს, ტერენციუსს, მენანდრს და სხვათა“.

ილ. პონტელი

(დასასრული იქნება)

სასამართლო

I

ტფილისის ოლქის სასამართლომ ბრალმდებლისაგან განსახილველათ მიიღო საქმე ბორჩალოს მაზრის სოფელ დიდ გომარეთის სკოლის მასწავლებლის სიმონ ხარაიძისა, ამავე სოფლის გლეხების აბრამ ურუნაშვილისა, გიორგი თეთრაძისა და სხვათა (სულ 10-მდე კაცისა), რომელთაც ჰბრალდებათ წინააღმდეგობის გაწევა ადგილობრივ მომრიგებელ შუამავლის ენიკოლოფოვისთვის, ამათ გაუნთავისუფლებიათ ენიკოლოფოვს მიერ რაღაც საქმისა გამო დაპატიმრებული აბრამ ურუნაშვილი და გიორგი თეთრაძე. მასწავლებელს ჰბრალდება წინამძღოლობა დაპატიმრებულ მეზობლების გასანთავისუფლებლად. ამ საქმეს ოლქის სასამართლო განიხილავს ახლო მომავალში. დაბარებულია 40 მეტი მოწმე.

II

ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ 13 ნოემბერს ახალქალაქში განიხილა საქმე ახალქალაქის მაზრის 18 მცხოვრებისა. ამათგან 15 კაცს ჰბრალდებოდა წინააღმდეგობის გაწევა მიწის მზომელის ბაბეუფ-მელიქოვისათვის, როცა იგი სამსახურს ასრულებდა, ხოლო მოსესიანცს და ორს იმის მეზობელს—სამსახურისავე ასრულების დროს მაზრის უფროსის დუბანოვისთვის წინააღმდეგობის გაწევა. 15 კაცის შესახებ საქმის გარჩევა სასამართლოს სხვა დროისათვის გადაუდვია, რადგან ერთი მათგანი არ გამოცხადებულა. სასამართლოს მარტო მეორე საქმე გაურჩევია. სამსავე ბრალდებულს თავი დამნაშავედ უცვნია. სასამართლომ ბრალდებულთ ორორი კვირით პოლიციასთან დაპატიმრება გადაუწყვიტა.

რუსეთის ქრონიკა

◆ ამ ცოტა ხანში საერო განათლების ახლად დანიშნულმა მინისტრმა გლაზოვმა რუსეთის სხვა და სხვა ქალაქი მოიარა და სასწავლებლები დაათვალიერა. მინისტრი, სხვათა შორის, ბელგოროდში ყოფილა და აქაურს საოსტატო ინსტიტუტში შესულა. როგორც „ნ. ძ.“ გადმოგვცემს, სკოლის დათვალიერების დროს ერთ მოსწავლეს სიტყვით მიუმართავს მინისტრისათვის და უთქვამს, საოსტატო ინსტიტუტში საპედაგოგო საქმე მეტად დაქვეითებულია და მომავალი მასწავლებელნი თითქმის ვერავითარ ცოდნას ვერ იძენენო. მოსწავლეთა მხრით ორატორმა სთხოვა მინისტრს ინსტიტუტში რეფორმა მოეხდინა. საპასუხო სიტყვაში მინისტრმა სთქვა, თანახმა ვარ, რომ რეფორმა საჭიროა და სამინისტრო კიდეც შეუდგება ამ საქმესაო. ეს სიტყვა მოსწავლეს ინსტიტუტის მთავრობის ნებადაურთველად უთქვამს. ამიტომ როდესაც მინისტრი წასულა, მოსწავლეთათვის დიდი საყვედური გამოუცხადებიათ.

◆ „რუსი“ და „რუს. ვედ.“ გადმოგვცემენ: 15 ნოემბერს, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე, როდესაც დასრულდა პრივატდოცენტის ტარლეს ლექცია, უნივერსიტეტის სტუდენტები, რიცხვით 1500 კაცი, გარედ გავიდნენ. მოედანზე, უნივერსიტეტის წინ, გაჩერდა ეს ამოდენა ხალხი და ცდა დაუწყო თავის ამხანაგებს. შემდეგ ყველანი დინჯად სანაპირო ქუჩით წავიდნენ. აქ სტუდენტებს დახვდნენ პოლიცმეისტერი გალლი და სამი იმისი თანაშემწე. პოლიციის დანახვაზე აქა-იქ სტვენა გაისმა. სტუდენტების წინააღმდეგ არავითარი ზომა არ იქნა მიღებული. ნევის პროსპექტის მიახლოვებისას სტუდენტობა დაიშალა“.

◆ წელს პირველ რვა თვეს სადამოწმო შემოსავალი რუსეთისა 142 მილიონი მანეთი იყო.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროში რამდენსამე ხელოსანს წარუდგენია ქაღალდი, რომელშიაც გატარებულია თურმე ახალი შეხედულება ხელოსან-შეგირდების სწავლების შესახებ. სასურველია, რომ დაარსდეს სრულიად ახალ ტიპის სახელოსნო ინსტიტუტები. ამ სასწავლებლებში უნდა ასწავლონ შეგირდებს თეორია, პრაქტიკულ მუშაობისათვის ყოველ დღე უნდა გზავნონ მოსწავლენი სხვა-და-სხვა კერძო სახელოსნოებში.

◆ 12 ნოემბერს ცნობილ პუბლიცისტს კ. კ. არსენიევს უნდა წაეკითხა იურიდიულ საზოგადოებაში მოხსენება შესახებ იმისა, თუ რა უნდა შეიცვალოს აუცილებლად არსებულ სამწერლო კანონმდებლობაში. მაგრამ იურიდიულ საზოგადოების სადგომში იმდენი ხალხი იყო თავმოყრილი და ქუჩაზედაც იმდენი იდგნენ, რომ მოხსენების წაკითხვა გადაიდვა შემდეგისათვის.

წერილები

ყვარელი. ყვარლის მამასახლისის თეიმურაზ ხაუტაშვილის მოკვლის შესახებ შემდეგი გამოირკვა. 28 ოქტომბერს ნაშუადღევს 4 საათზე ყვარლის საზოგადოების მამასახლისი თეიმურაზ ხაუტაშვილი თავისს თანაშემწე დავით ხარიტაშვილთან ერთად გამგზავრებულა ზევით ბაზრისკენ მიხეილ ჯანგურაშვილის დუქანში. დუქანში დაჰხვედრია მედუქნის გარდა ამავე სოფლის მცხოვრები ტიმოთე მაკანაშვილი. მამასახლისს თავისი თანაშემწე გაუგზავნია ალექსი საკაშვილისა და გიო. ყაზახაშვილის ხორცის დუქანში ხორცის წამოსაღებად. მამასახლისს ეს ხორცი სურდა მიეყიდნა ჯანგურაშვილისთვის და აღებული ფული გადაეცა იმ კაცისთვის, ვისაც ყაზახიშვილის მაგიერ უყარაულნია სოფელში. ამ დროს დუქანში მისულა ამავე სოფლის მცხოვრები გიორგი შიუკაშვილი და უთხოვნია, წაჰყოლოდა ოქმის შესადგენად, რადგან ვიღაცას იმისთვის კამეჩები დაეჭირა. მამასახლისი გაჰყოლია შიუკაშვილს, ხოლო იმისი თანაშემწე, რომელსაც მამასახლისის ბრძანება შეესრულებინა უკვე და დაბრუნებულიყო, დარჩა დუქანში. ცოტა ხნის შემდეგ ჯანგურაშვილის დუქანში, სადაც მოვიდნენ თვით გიო ყაზახაშვილი და ალექსა საკაშვილი, წაართვეს ხორცი, დაუწყეს გინება როგორც მამასახლისს, ისე იმის თანაშემწეს. ერთი მათგანი, სახელდობრ ყაზახაშვილი, გამართა კიდეც იქითკენ, საითაც მამასახლისი წაიყვანეს. საა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2677.

კაშვილი კი დარჩა დუქანში. მამასახლისის თანაშემწემ რომ ეს დაინახა, გაიქცა მამასახლისისკენ საცნობლად. მამასახლისი გზაში შეჰხვდა ყაზახაშვილს. შელაპარაკდნენ და ბოლოს მამასახლისმა განიზრახა მისი წაყვანა სოფლის კანცელარიისკენ დასამწყვდევად, მაგრამ ყაზახაშვილი გაუძალიანდა. მამასახლისს ამ დროს მიეშველა გზათ მიმავალი ამავე სოფლელი ალექსი ჩიხიაშვილი, ამის თანადახმარებით წაიყვანეს ყაზახაშვილი სტეფანე სუნდულოვის დუქანში. ლანძღვა-გინება მაინც კვლავ ისმოდა ორთავე მხრიდან. ყაზახაშვილი მაინც მაგრდებოდა და არ მისდევდა დასამწყვდევად. მამასახლისმა ღონეს მიმართა. ხარიტაშვილს და ჩხიაშვილს უბრძანა, მკლავებში შესხდომოდნენ და თითონ კი უკანიდან კისერში მუჯლუგუნებს სცემდა. ბღლაძუნის დროს ყაზახაშვილმა მამასახლისს ჯაჭვი ჩამოჰგლიჯა. სუნგულოვის დუქანს რომ ათ ნაბიჯს გასცდნენ, მოულოდნელათ გაჩნდა ამ ყვირილზე ყაზახაშვილის ამხანაგი ალექსი სააკაშვილი და ამოღებულ ხანჯლით დასჭრა მამასახლისი ორ ალაგას, მერე მოუღერა მამასახლისის თანაშემწესაც, მაგრამ მან ხანჯლითვე მოიგერა. ამის შემდეგ ყაზახაშვილი და სააკაშვილი წავიდნენ. მამასახლისი კი დაეცა და ხუთ წუთს უკან სული განუტევა. საქმე გამომძიებლის ხელშია.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

22 ნოემბერი

ტანჟირი, 21 ნოემბერი („რეიტერი“). კრეისერი „რიონი“ ორის ნაღმიან გემით ალჟირს წავიდა. აქ მოვიდნენ რუსის კრეისერები „ორიოლ“, „ტუნგუზ“, „ოლეგ“ და „იზუმრუდ“-ი და სატრანსპორტო გემი „ოკეან“-ი.

ბრესტი. 21 ნოემბერი. ნაღმიანი გემი „პრონზიტელნი“ შეაკეთეს და ნაშუადღევის სამ საათზე ნავთ-სადგურიდან გავიდა.

ჩიფუ, („რეიტერი“). როგორ ემზადებიან იაპონელები ბალტიის ესკადრის დასახვედრად, შეგვიძლია გავიგოთ საფრანგეთის გემის „ბინტუან“-ის აფიცერთა სიტყვებიდან; ეს გემი 17 ნოემბერს წამოვიდა იაპონიიდან. ამით უნახავთ სასებოში ჯავშნიანი გემი „მიკაზა“, რომელიც იოტის ოდენადაც არსადაა გაკაწრული. შანდუნის კონცხიდან სამხრეთით 40 მილის მანძილზე აფიცრებს უნახავთ ჯავშნიანი გემი „ასახი“, რომელიც აგრეთვე სრულიად შეკეთებულია. ფლოტის შეკეთება დიდათ საიდუმლოთ სწარმოებს. ამბობენ, იაპონიის ნაღმიან გემების ფლოტი აგვისტოდან მშვენიერადაა შენახული და სასებოსა და დალნიში ისვენებენ.

შანხაი („რეიტერი“). რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს გამართოს აქ სურსათსანოვაგეს საწყობი ხმელეთისა და ზღვის ჯარებისათვის. აქაურ გერმანელ ყასაბს შეუკვეთა რუსეთის მთავრობამ რამდენიმე მილიონი გირვანქა ხორცი. ამ ნაირად ნეიტრალიტეტის დარღვევამ იაპონიის მხრით დიდი მრისხანება გამოიწვია. იაპონიის კონსული თხოულობს, ჩინეთის მთავრობამ მკაცრი ყურადღება დაიჭიროს რუსეთის მატროსებზე.

ტოკიო („რეიტერი“). გაზეთ „ასახი“-ს კორესპონდენტი ნიუ-ჩუანიდან იტყობინება, რომ რუსებს გირინიდან 50 ათასი კაცი მაშველი ჯარი მოუვიდათ. ტელინიდან შახეზე რუსებმა 15 მძიმე ზარბაზანი გაგზავნეს. შიდა რუსეთიდან მოსული 20 ათასი ჯარი შიულინიდან დაიძრა.

ლონდონი, 21 ნოემბ. („რეიტერი“). გარეშე საქმეთა სამინისტრომ ბრძანება გაგზავნა კარდიფში, არამც და არამც არ მისცენ ნახშირი გერმანიის გემს „კაპიტან მენცელ“-ს, რომელიც კარდიფშია. ასეთი ბრძანება იმას გამოუწვევია, რომ ეს გემი კარდიფიდან წაღებულ ნახშირს რუსებს აძლევდა ზღვაში. როგორც ისმის, ბრიტანიისა და გერმანიის მთავრობათ მოლაპარაკება აქვთ შესახებ იმისა, რომ გერმანიის გემებს სრულებით აღუკრძალონ რუსეთის ესკადრისათვის ნახშირის მიცემა.

ტოკიო, 22 ნოემბ. („რეიტერი“). ზოგიერთ სახელმწიფოთა ბალტიის ესკადრასადმი თანაგრძნობა მეტად აღელვებს აქაურებს. ჰფიქრობენ, იაპონიის მთავრობა გერმანიასა და პორტუგალიას პროტესტს გამოუცხადებს იმის გამო, რომ რუსები ამ სახელმწიფოთა ნავთ-სადგურებში ნახშირს იღებენ.

ჩიფუ („რეიტერი“). პორტ-არტურთან მდგომ იაპონელებს იმედი აქვთ, ამას იქით ნიშანში აიღონ ნავთ-სადგური და გემებს ისე დაუშინონ ზარბაზნები; ერლუნშანის სიმაგრეებს-კი განზე ესვრიან 203 მეტრიან გორიდან, სადაც მძიმე ზარბაზნებს დადგმენ. რუსები მეტად ძლიერ ესვრიან ამ გორას.

შანხაი („რეიტერი“). რუსებს დიდ-ძალი ზარბაზნები გადააქვთ, რომ 203 მეტრიან გორას დაუშინონ.

მუკდენი (სააგენტოს საკ. კორესპონ.). რუსები მარჯვედ ისვრიან. იაპონელების ზარბაზნებს ზარალი არ მოაქვთ. მზვერავ რაზმების მარჯვე მოქმედება იაპონელებს იმედს უკარგავენ.

— იაპონელები ხუანშანში საღამოობით აეროსტატებს უშვებენ და იქიდან თავსიანებს ნიშნებს აძლევენ ცეცხლით.

— შახეზიდან ფინხუანჩენამდე რკინის გზის კეთება შეჩერდა, რადგან მასალა დააკლდათ· ამის გამო მატარებლებს ცხენებით ამუშავებენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

22 ნოემბერი

ჩიფუ, 22 ნოემბერი. ინგლისის ნაღმიანი გემი „გენიუს“-ი გუშინ ვეიხაივეისაკენ წავიდა. დღეს ჩემულპოს მოვიდა ამერიკის კრეისერი „ნევ-ორლეანს“-ი. ინგლისის კრეისერი „სირიუს“ ოთხშაბათს ვეიხაივეის წავა.

ტოკიო, 21 ნოემბერი. აქაური გაზეთები დაჟინებით თხოულობენ მთავრობისაგან, მოითხოვოს სანეიტრალო სახელმწიფოებისაგან ისეთივე დახმარება ნახშირის მიღების საქმეში, როგორსაც ეს სახელმწიფოები რუსეთის მეორე ესკადრას უწევენ.—პორტ-არტურთან დროებით ბრძოლის შეწყვეტის შესახებ „დეილი ექსპრესს“ იტყობინება, რომ იაპონელებმა სროლა შეაჩერეს მხოლოდ ერთ ადგილას, სახელდობრ—203 მეტრის მთის ფერდობებზე, სადაც რუსეთის წითელ ჯვრის რაზმები დაჭრილებს ეძებენ; დანარჩენ პოზიციებზე სროლა არ შეწყვეტილა. დროებით ბრძოლის შეწყვეტაზე მოლაპარაკების დროს, გენ. ნოგიმ მოითხოვა, წითელ ჯვრის რაზმები არ გადვიდნენ იაპონიის ჯარის რაიონშიო.—„სტანდარტი“-ს სიტყვით, რუსები ბეჯითად შეუდგნენ პორტ-არტურის ნავთ-სადგურის გასავლის გაწმენდას ნაღმებისაგან; საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რუსეთის ესკადრა შეეცდება ისევ ზღვაში გავიდესო.

ლონდონი. „სტანდარტ“-ი იკვლევს საკითხს რუსეთის შავი ზღვის ესკადრის გასვლაზე ბოსფორითა და დარდანელით და, სხვათა შორის, ამბობს: „თუ რუსეთის მთავრობამ მართლა განიზრახა ეს საქმე, მეტად სახიფათო საერთაშორისო კონფლიკტი გაჩნდება· დიდ ბრიტანიის ღირსება მოითხოვს პარიზის ტრაქტატი დაცულ იქმნას და ჩვენ არ შეგვიძლია რუსეთის ფლოტს დარდანელში გასვლის ნება მივცეთო. ჩვენის მხრით ენერგიული წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ.“ „დეილი ტელეგრაფი“ თავის მხრით ამბობს: „უაზრობა იქნება ვიფიქროთ, ვითომ რუსეთის და ოსმალეთის საიდუმლო ხელშეკრულობას შეეძლოს პარიზის ტრაქტატის გაუქმება; ეს ტრაქტატი სავალდებულოა ევროპის ყველა სახელმწიფოთათვის. დიდი ბრიტანია არავის არ შეაცვლევინებს ტრაქტატს რუსეთის სასარგებლოდ იმ დროს, როცა რუსეთს ომი აქვს ინგლისის მოკავშირე სახელმწიფოსთან“.

ტოკიო. იაპონიის გაზეთებში დაწვრილებით აღწერილია 203 მეტრიან მთასთან მომხდარი ბრძოლა. 18 ნოემბერს საღამოს იაპონელებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის სიმაგრეებზე, მაგრამ უკუცემულ იქმნენ. 14 ნოემბერს მარჯვენა არმიის მარჯვენა ნაწილმა რამდენჯერმე მიიტანა იერიში აკასაკაიამას მხრიდან, რომელიც ხსენებულ მთიდან 800 მეტრის მანძილზეა სამხრეთით. მოიერიშე ჯარს დახმარებას უწევდნენ დიდრონი ზარბაზნები. ნაშუადღევის 4 საათზე იაპონელებმა უკან დააწვინეს რუსებს. მალე, რუსები თვითონვე სამჯერ მიუხტნენ იაპონელებს, რომელნიც იძულებულნი იყვნენ ბოლოს უკან დაწეულიყვნენ. 15 ნოემბერს, განთიადისას, იაპონელებმა კვლავ მიიტანეს მთაზე იერიში, რომლის დროს აკასაკაისა და მთის შუა დიდი ზარალი მოუვიდათ. ჯარის ერთმა ნაწილმა ამავე დროს იერიში მიიტანა მთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეზე. რუსებიცა და იაპონელებიც ერთმანეთს ხელით ესროდნენ ყუმბარებს. 16 ნოემბერს რუსებმა თავგანწირული იერიში მიიტანეს იაპონელებზე, რის გამო სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეზე მდგომ იაპონელებს ძირს ხეობისაკენ უნდა დაეწიათ. სამხრეთ-დასავლეთის მხარეზე მდგომმა იაპონელებმაც 30 მეტრის მანძილზე დაიწიეს უკან. მიუხედავად ამისა, იაპონელების მდგომარეობა უკეთესი იყო ამ დღეს. 17 ნოემბერს, განთიადისას, იაპონელების ჯარმა სათადარიგო რაზმების მონაწილეობით კვლავ მოიტანა იერიში მთაზე სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან. რუსებმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დიდი ზარალი მიაყენა მათ იაპონელთა დიდმა ზარბაზნებმა, მით უმეტეს, რომ გოლუბინაია ბუხტადან იაპონიის საკანონერო გემებიც უშენდნენ ზარბაზნებს. ჩრდილოეთ დასავლეთის ჯარი იერიშით წავიდა რუსებზე დილის ხუთ საათზე, მაგრამ რუსებმა ამათაც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და დიდი ზარალი მიაყენეს. საღამოს იაპონელებს მიშველი ჯარები მოუვიდათ და, ცხარე ბრძოლის შემდეგ, რუსებმა უკან დაიწიეს. 7 საათზე იაპონელებმა დაიპყრეს მთის სამხრეთ-დასავლეთი მხარე, ხოლო 8 საათზე—ჩრდილოეთ დასავლეთი. ომის შემდეგ მთელი მთა იაპონელებს ჩაუვარდათ ხელში. ღამით რუსებმა 6-ჯერ სცადეს მთის უკან დაბრუნება, მაგრამ ამაოდ. 18 ნოემბერს დილის 4 საათზე რუსებმა კვლავ შეტევით მოიტანეს იერიში მთაზე, მაგრამ შუადღისას საბოლოოდ დაიწიეს ანცეშანისაკენ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

21 ნოემბერი

პეტერბურგი. 10-იდან 16 ნოემბრამდე კავკასიაში ისევ იმატა ხოლერამ, განსაკუთრებით ერევნის გუბერნიაში. ქ. ბაქოს და ბაქოს გუბერნიაში ახლად გამხდარა ავად 53, განჯის გუბერნიაში—32, ტფილისში—4. კარგა ბლომად იყო ხოლერა სამარის გუბერნიის ნიკოლაევსკის მაზრაში; სარატოვის გუბერნიაში ავად გამხდარა 40. ასტრახანის გუბერნიაში ახლად გამხდარა ავად 6. კასპიის იქითა მხარეში, სერახის საბოქაულოში იყო 27 ავადმყოფი. 11 ნოემბრისათვის ხოლერიანები იყვნენ ტაშკენტსა და მის მიდამოებში.

მოსკოვი, 21 ნოემბერი. მოვიდა ამალით საგანგებო ელჩი მირზა-რიზა-ხანი.

ოდესა, 20 ნოემბერი. სასამართლო წესდების შემოღებიდან 40 წლის შესრულების გამო ადგილ იურისტებმა და ადვოკატებმა გამართეს სადღესასწაულო კრებები, რომლებზედაც წაიკითხეს რეფერატები და წარმოსთქვეს სიტყვები.

სოფია, 21 ნოემბერი (ოპოზიციის წრეებიდან). კამათი შესახებ იმ კანონებისა, რომელიც ეხებიან სათემო წყობილებასა და საბაჟოების გამართვას, მეტად ცხარე იყო. მინისტრი პეტკოვი სამსახურიდან გადადგომით დაემუქრა დეპუტატებს და მორჩილი უმრავლესობაც მომხრე კანონ-პროექტს. ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მთავრის სიტყვა, რომელიც მიმართული იყო სეფე-სიტყვის პასუხის მიმრთმევ დეპუტაციისადმი; იგი აპოლოგიაა სტამბულოვიელების სამინისტროსი. ჰფიქრობენ, რომ ეს სიტყვები მინისტრების ნაკარნახევია.

22 ნოემბერი

კალკუტა („რეიტერი“). ბრიტანიის ელჩები ქაბულს მივიდნენ და ემირის სასახლეში დაბინავდნენ.

პეტერბურგი. ფლიგელ-ადიუტანტს პორუჩიკს დიდ მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს შტაბ როტმისტრობა ებოძა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 19 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ. . .	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,4
ბერლინისაზე „	46,80
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	91⅝
4% სახელმწიფო რენტა	—
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	427½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	320
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	87¼
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	245

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს.(10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-არწრუნის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიკავკასიის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 16
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტევოსოვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი [illegible]. ექიმი ნ. ყასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ვეჟბოვის სახლებში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქირავდება შუა ფასებში ღვინის სარდაფი ვერის დასახვევში. ყორღანოვის ქ. № 2. ორმხრივ შესავალით, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ იმავე სახლებში სახლის პატრონს ვლადიმერ ხუდაძეს. (4—382—3)

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჰივა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. [illegible] და ყავით 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და [illegible] აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილით 5—12 ს. სად. (88—53—72)



СѢДЕЛЬН

СПЕЦІЯЛЬК

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი ალოფიანისა, № 92, საზადებულო სახლის ახლოს. (წ.—176—80)

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა

აჯამეთის მამულში იყიდება:

1) დარჩეული ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა და სხვა ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariat Rupestris 101^{14}.

3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—5)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ბროლის ვარდის ფერი

საპონი

№ 4711

შეიცავს ბევრ გლიცერინს.

დიდი ეკონომია, რადგან ბევრი ქაფი იცის.

ნაზი სურნელება ვარდისა,— აი თვისება, რომლითაც ეს საპონი დიდად განირჩევა.

ფერდ. მიულჰენსი,

სამრეკლოს № 4711 კელნსა და რიგაში.

(6—მც.—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო—დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ხოჯა ბაზანისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	10
ბნელი, მოთხრობა—შედანისა . . .	—	20
ად. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო .	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო . .	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ . . .	—	20
ოთელის კუნძული, დ. მაზნანელისა. .	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო .	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი . . .	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	25
ავგუსტო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ადა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დუქნები, პროფეს. გ პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	60
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჭანგულოვისა	1	-

ექიმის შპინდლერ-ბარნაის

„მარიენბადის რედუქციური აბები“

სიმსუქნის

წინააღმდეგ

და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება

თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი

✦ კოლოფები წითელ ფერის ✦

დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და საააფთიაქო მაღაზიებში. (3. 0—14)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(9—3.24)

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

Дозволено цензурою, 22 ноября 1904 г.

სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბის“.

Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.